გაზეთი გამოდის 1930 წლის 5 ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

# სამტრედიის მაცნე

N31 (9211) 11 ნოემბერი. 2016 წელი ფასი 50 თეთრი

# წადი მონასტერში, აღიკვეცე ბერად და ილოცე მათთვის



5

ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონებას საკრებულომ მხარი ხმაურით დაუჭირა 2

იანეთის მე-9 უბნის გაზიფიცირებით მუნიციპალიტეტის გაზიფიცირებაც დასრულდება

2 დონალდ ტრამპი ამერიკის პრეზიდენტია

კანონიერ მოსარგებლეებს არაპრივატიზებული ფართები საკუთრებაში გადაეცემათ

ტენიანობის საზომი აპარატით სამტრედიელები ისარგებლებენ 3

## ხელახალი გასაუბრება არასათანადო გამჭვირვალობის გამო



„ექვილიბრიუმი" მორიგად სტუმრობს _ სამტრედიას

მეთოდისტები საბავშვო ბაღებში _ დავიწყებული ძველის სიახლე

“დოჩანაშვილის მოთხრობების კითხვა ჩემთვის უდიდესი სიამოვნება იყო” 8



## დავით უსუფაშვილის წასვლა ამ პარტიიდან არ იყო სპონტანური გადაწყვეტილება

4

## ძალიან გამყოლი გული, გრძელი ხელები და ცოდნით დამძიმებული თავი მაქვს

# ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონებას საკრებულოს მხარი ხმაურით დაუჭირა

**ნინო ნანიტაშვილი**

ხმაური იყო 8 ნოემბრის მუნიციპალიტეტის საკრებულოში. დაპირისპირება მოჰყვა 2017 წელში შესასრულებელ პროექტებზე მსჯელობას, რომელიც საკრებულოს სხდომაზე განსახილველად ინფრასტრუქტურულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ გამოიტანა. მერაბ ულრელიძემ საკრებულოს წევრებს დეტალურად გააცნო პროექტები, სადაც მითითებული იყო ის უბნები, რომლებსაც ასფალტ-ბეტონის გზების დასაგებად პრიორიტეტი მიენიჭა.

პირველი რეაქციული ლანირიდან საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი გია ხაბეიშვილი გამოიკვეთა, რომელიც წყენას, თურმე, 2014 წლიდან გულში იდებს და 2 წლის შემდგომაც ვერ აღწევს მიზანს, გაარკვიოს სამტრედიის მუნიციპალიტეტში ვინ და რა კრიტერიუმებით არჩევს ინფრასტრუქტურულ პროექტებს, რატომ არ ისწრებენ და რატომ არ ითვალისწინებენ საკრებულოს წევრების აზრს პრიორიტეტული ობიექტების შერჩევისას. საკრებულოს სხდომაზე რამდენიმე დეპუტატის მხრიდან არანაკლები გაღიზიანება გამოიწვია მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის სამსახურის სპეციალისტის რეპლიკამ, როცა ეთერ არველაძემ ხმამაღლა დააფიქსირა თავისი აზრი იმის შესახებ, რომ მას სამწუხაროდ არ ახსენდება საკრებულოდან სოფლების წარმომადგენლები მათთან რაიმე წინადადებით შესულიყვნენ.

პრიორიტეტების ხსენებაზე საკრებულოში ისევ აქტუალური გახდა ეწრის თემა, გომის მაჟორიტარმა ისიც კი იხუმრა, რა იქნება ჩემი თემი ეწერში რომ გადავიტანოთო. დავით ამაღლობელი უკმაყოფილოა იმით, რომ საკითხის მომზადებისას საკრებულოს წევრები არ დაისწრეს, ხოლო გომი საპროექტო რუკაზე საერთოდ არ დაფიქსირდა. დავით ამაღლობელის პოზიცია პაატა კოხრეიძემ გაამყარა. უფრო მეტიც, მან ემოციური განცხადება გააკეთა და თქვა: ხალხი იცინის, ეწერში თუ გაკეთდა, აქეთ რა ხდებაო.

"მსგავს სიტუაციაში საკრებულოს როლი კნინდება", – ფიქრობს ჯონი ახობაძე, – რითაც დეპუტატებს თვალში ნაცარს აყრიან".

უმრავლესობისთვის მოულოდნელი იყო იმედა გოგავას დუმილი, მართალია, დისკუსიაში არ ჩართულა, ფრაქცია "რესპუბლიკელების" თავმჯდომარე, თუმცა საკრებულოზე სიტყვა მანაც ითხოვა და პროექტის მოწონების მხარდაჭერა ორივე ხელით გამოხატა, თუმცა გამგეობის წარმომადგენელთან მასაც ჰქონდა შენიშვნა, მსგავსი პროექტები მომავალში უფრო გამჭვირვალედ წარიმართოს.

შეუმჩნეველი არავის დარჩენია ის ფაქტი, რომ 8 ნოემბრის საკრებულოს სხდომაზე მთავარი ოპოზიცია, წევრები "ნაციონალური მოძრაობიდან" პრაქტიკულად არ აქტიურობდნენ. არც იყო საჭირო, რადგან რაზეც ისინი უმრავლესობას უნდა დაპირისპირებოდნენ, ამას "ქართული ოცნება" თავად აკეთებდა. კონკრეტული საკითხის ირგვლივ ცხარე მსჯელობას ოპოზიციის აგრესია არ მოჰყოლია, წარსულში სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის ყოფილმა შემსრულებელმა, ამჟამად საკრებულოს წევრმა, ავთანდილ თადუმაძე, შეიძლება ითქვას, საკრებულოს უმრავლესობას კეთილად ურჩია და დირექტივები მისცა, სხვა დროს პროექტების შერჩევისას როგორი უნდა იყოს მუშაობის პრინციპი: არცერთი დასახელებული პუნქტი დაზარალებული რომ არ დარჩეს: "გქონდეთ კომუნიკაცია, დაუძახეთ სოფლებიდან წარმომადგენლებს და დეპუტატებს, ეცადეთ, დაგეგმვა და განხილვა უფრო გამჭვირვალე იყოს".







# დონალდ ტრამპი ამერიკის პრეზიდენტია

ეს ესაა საქართველოში საარჩევნო ვნებათაღელვა დაცხრა.

ამერიკის შეერთებული შტატების საპრეზიდენტო არჩევნებს ინტერესით ადევნებდა თვალყურს მსოფლიოს საზოგადოება.

შედეგების მიხედვით მომდევნო 4 წლის მანძილზე თეთრი სახლის მასპინძელი, ე. ი. ამერიკის შეერთებული შტატების რიგით 45-ე პრეზიდენტი დონალდ ტრამპი გახდა.

მისმა პრეტენდენტმა ჰილარი კლინტონმა დამარცხება აღიარა და საკუთარ მომხრეებს ტრამპისათვის შანსის მიცემისაკენ მოუწოდა.

ხელისუფლების მშვიდობიანი გზით გადაბარების აუცილებლობაზე საუბრობს ამერიკის ჯერ კიდევ მოქმედი პრეზიდენტი.

ამერიკა საქართველოს, საქართველო კი ამერიკის სანდო სტრატეგიული პარტნიორია, ამდენად საქართველოსთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ორი ქვეყნის ურთიერთობებს.

ქართული მხარე აცხადებს, რომ ურთიერთობები ორ სახელმწიფოს შორის უარყოფითობისაკენ არ უნდა შეიცვალოს, არის საფუძვლიანი იმედი, რომ კეთილმეზობლური ურთიერთობები და პარტნიორობა მთელ რიგ სფეროებში ორ ქვეყანას შორის ახალ მასშტაბებს შეიძენს.

დემოკრატიის ერთ-ერთ ფორმად აღიქვამენ დემოკრატიის ფლაგმან სახელმწიფოში ახლად არჩეული პრეზიდენტის დონალდ ტრამპის გამარჯვებით განაწყენებულთა მიერ გამართულ საპროტესტო აქციებს ამერიკის რამდენიმე შტატში რომ შედგა.

მშვიდობა, კეთილდღეობა ოკეანისგაღმელ მეზობლებს, ასეთია ქართველი ხალხის გზავნილი ამერიკელებისადმი.

ამერიკელებმა პრეზიდენტი აირჩიეს.

*ლევან გაბრავა*



# იანეთის მე-9 უბნის გაზიფიცირებით მუნიციპალიტეტის გაზიფიცირებაც დასრულდება

**ნათია ნაცვლიშვილი**

იანეთის მე-9 უბანი ბოლო პუნქტია სამტრედიის მუნიციპალიტეტში, რომელშიც სულ რამდენიმე დღეში დასრულდება გაზიფიცირების სამუშაოები და მოსახლეობა ბუნებრივ აირს უკვე მთელს მუნიციპალიტეტში მიიღებს. ამის შესახებ მუნიციპალიტეტის გამგებელმა ვალერიანე ფოცხვერიამ იანეთის მე-9 უბანზე განაცხადა, სადაც სამუშაოების მიმდინარეობის პროცესს მის მოადგილესთან, მამუკა თავაძესთან და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად გაეცნო. ხელისუფლების წარმომადგენლებს ადგილზე შეკრებილი მოსახლეობაც დახვდა. ისინი მადლიერებას გამოხატავდნენ. მე-9 უბანზე 36 ოჯახი ცხოვრობს. როგორც სპეციალისტებმა "სამტრედიის მაცნეს" განუცხადეს, მთავარი მაგისტრალის მშენებლობა დასრულდა, ე. წ. დაქსელვის პროცესისათვის პროექტი მზადდება, მალე თითოეულ ოჯახში აინთება ბუნებრივი აირი.



იუნუს აბიბოვი და მაქსუდ ბაგმანოვი აქაური მცხოვრებნი არიან. "ძალიან კმაყოფილნი ვართ, თითოეული მოსახლის ჭიშკართან უკვე მილით მიყვანილია ბუნებრივი აირი, მომავალ კვირაში ოჯახებში შევიყვანთ, დიდი მადლობა იმისთვის, დანაპირები რომ აგვისრულეთ და ყურადღებას აქცევთ სოფელს, ზრუნავთ მის აღორძინებაზე" – განუცხადეს მათ მუნიციპალიტეტის გამგებელს, ვალერიანე ფოცხვერიას.

ვალერიანე ფოცხვერია: "ცენტრალური მაგისტრალი, რომლის სიგრძე 6 კილომეტრი და 900 მეტრია, შემოვიდა ამ სოფლამდე, მოსახლეობის გაზიფიცირება ამ დღეებში დაიწყება, უბანში 36 ოჯახია, სამუშოები თვე-ნახევრის უკან დაიწყო და მას წყალტუბოს ბრიგადა ახორციელებს, ეს ბოლო დასახლებული პუნქტი იყო, რომელიც ჩვენს მუნიციპალიტეტში გაზიფიცირების გარეშე იყო დარჩენილი".

# კანონიერ მოსარგებლეებს არაპრივატიზებული ფართები საკუთრებაში გადაეცემათ

**ნინო ნანიტაშვილი**

მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაბამისი კომისია მოქალაქეთა განცხადებებს განიხილავს და მათი ხელშეწყობით კანონიერი მოსარგებლეები არაპრივატიზებულ საცხოვრებელ თუ არასაცხოვრებელ ფართებს იკანონებენ.

მთავრობის დადგენილება ძალაში შევიდა, 10-მდე განცხადება სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობაში კომისიამ უკვე განიხილა. კონკრეტულ შემთხვევაში კანონიერ მოსარგებლეებს საკუთრებაში გადაეცემათ თავიანთი საცხოვრებელი ბინები.

შეგახსენებთ, რომ 1998 წლის 25 დეკემბერს სამტრედიის მუნიციპალიტეტში ხანძრის შედეგად დაიწვა ეგრეთწოდებული ძველი სასტუმროს შენობა, სადაც მთლიანად განადგურდა არქივი, ტექნიკური აღრიცხვის ბიურო, სახლმმართველობა, ნოტარიუსი. ფაქტი თავისთავად უსიამოვნო იყო, რადგან ქალაქის ცენტრში მდებარე ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი შენობა დაიწვა, რომელშიც ზემოთ ჩამოთვლილი დაწესებულებების გარდა სხვადასხვა ორგანიზაციებიც იყო განთავსებული. თუმცა ხანძრის შედეგად ერთ-ერთ ყველაზე მეტად დაზარალებულთა რიცხვში აღმოჩნდნენ ის ოჯახები, რომლებსაც, მართლა, კანონიერ სარგებლობაში ჰქონდათ არაპრივატიზებული საცხოვრებელი თუ არასაცხოვრებელი ფართები, თუმცა სარგებლობის დოკუმენტაციები არ გააჩნდათ.



ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ზემოაღნიშნული კატეგორიას არ შეეძლო კანონიერ სარგებლობაში არსებული ფართების დაკანონება, შემდგომში – განკარგვა.

პრობლემას აქტუალობა დღიდან ხანძრის გაჩენისა დღემდე არ დაუკარგავს. აღნიშნულის შესახებ დაზარალებულმა მოსახლეობამ არაერთხელ მიმართა სამტრედიის მაჟორიტარ დეპუტატს, გიორგი კახიანს, რომლის უდიდესი ძალისხმევითაც, უშუალოდ იუსტიციის სამინისტროსთან ნაყოფიერი მუშაობის ასევე იურისტთა ჯგუფებთან კონსულტაციების შედეგად, რომელშიც ჩართული იყო სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული განყოფილების უფროსი, ნიკა სანაძე, მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის № 189 დადგენილებაში 2016 წლის 9 ივნისს შევიდა ცვლილება, რომლის შედეგად დადგინდა მე-5 პირველი მუხლი, რომლითაც განსაზღვრა კანონიერი მოსარგებლებისათვის საკუთრების უფლების მოთხოვნით განცხადების წარდგენის და გადაწყვეტილების მიღების წესი. ამის შემდგომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებით ჩამოყალიბდა შესაბამისი კომისია, რომელიც აქტიურად განიხილავს მოქალაქეების განცხადებებს და ხელს უწყობს კანონიერ მოსარგებლეებს თავისი არაპრივატიზირებული საცხოვრებელი თუ არასაცხოვრებელი ფართების დაკანონებაში.

# ხელახალი გასაუბრება არასათანადო გამჭვირვალობის გამო

ნინო ნანიტაშვილი

საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მდივანმა, თათია შუბლაძემ ქალაქ სამტრედიაში გამგებლის წარმომადგენლის საქმიანობის უზრუნველყოფის საკითხებში სპეციალისტს ილია გაბეჩავას მოსალოდნელი გასაუბრების ჩატარების შესახებ ტელეფონით აუწყა.

ილია გაბეჩავა ქალაქში სპეციალისტის პოზიციას 2015 წლის 8 ივლისიდან იკავებს. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებიდან გამომდინარე სამსახური რომ შეინარჩუნოს, 2016 წლის 20 ნოემბერს ხელახლა უწევს გასაუბრებაზე გასვლა.

თათია შუბლაძემ სატელეფონო შეტყობინებები განახორციელა კიდევ იმ პირებთან, რომლებმაც გასაუბრებაზე უნდა მიიღონ მონაწილეობა: სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ორ საშტატო ერთეულზე, ქალაქ სამტრედიაში სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლის საქმიანობის უზრუნველყოფის საკითხებში სპეციალისტის 8 საშტატო ერთეულზე და გომის ადმინისტრაციულ ერთეულში სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლის საქმიანობის უზრუნველყოფის საკითხებში სპეციალისტის ორ საშტატო ერთეულზე.

საჯარო მოხელეთა შესარჩევი კონკურსი პირველად 2014 წლის ნომბერ-დეკემბერში ჩატარდა. პირველ ეტაპზე მოხდა უკვე დასაქმებულ საჯარო მოხელეთა ატესტაცია ტესტირების გავლით. ვინც მინიმალური ზღვარი გადალახა, შეინარჩუნეს დაკავებული პოზიციები.

მომდევნო ეტაპი უკვე იყო 2015 წლის გაზაფხული, როცა ჩატარდა საკონკურსო ტესტირება ახალ ვაკანსიებზე, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს როგორც წინა ტესტირებაში ჩაჭრილმა აპლიკანტებმა, ასევე გარედან შემოსულმა კადრებმა.

პირველი ეტაპი დოკუმენტაციის გადარჩევა გახლდათ, მეორე იყო ტესტირება, მესამე _ გასაუბრება. საბოლოოდ 145 აპლიკანტიდან 40 შეირჩა. მათ შესაბამისი პოზიციები დაიკავეს.

კონკურსში მონაწილე და კომისიისგან დაწუნებულმა სამმა პირმა, მამუკა ნიკოლეიშვილმა, თამილა ახალაძემ და მთვარისა მახარაძემ სასამართლო წესით გაასაჩივრეს კომისიის შედეგები. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით პირველი ინსტანცია სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც ჩაითვალა, რომ საკონკურსო-საატესტაციო კომისიამ არასათანადო გამჭვირვალობით მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნულ პირებზე, გააუქმა კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. ამ უკანასკნელს მხარი დაუჭირა უზენაესმა სასამართლომ და ძალაში დატოვა პირველი და მეორე ინსტანციების გადაწყვეტილებები.



ეს უკანასკნელი გახდა საფუძველი, სამტრედიის მუნიციპალიტეტში გასაუბრების ეტაპი ხელახლა ჩატარდეს. მას ახალი კომისიის ახალი შემადგენლობა წარმართავს: თავმჯდომარე _ მუნიციპალიტეტის გამგებელი, ვალერიანე ფოცხვერია, წევრები _ გამგეობის საფინანსო სამსახურის უფროსი, დავით ბაღდავაძე, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი, მიხეილ ლეჟავა, ლაშა ორმოცაძე, პროფესიული კავშირების წარმომადგენელი, ალექსანდრე ლეჟავა, "სამართლიანი არჩევნების" კოორდინატორი ნინო შარაშენიძე, გამგეობის იურისტი ნიკოლოზ სანაძე.

# ახალგაზრდა კადრები მუნიციპალიტეტის გამგეობაში

ნათია ნაცვლიშვილი

მუნიციპალიტეტის გამგეობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში ორი ახალგაზრდა კადრი დასაქმდა. სპეციალისტის პოზიციაზე ნანა ჯვარშეიშვილი და დავით მანჯგალაძე რამდენიმე დღეა დაინიშნენ. დავითს სამტრედიელები კარგად იცნობენ. ის ინტელექტუალთა ნაკრები გუნდის "ინტერსტელარის" წევრია. მას არაერთ ახალგაზრდულ პროექტში მიუღია მონაწილეობა. იგი ბათუმის იოანე ღვთისმეტყველის სახელობის სასულიერო აკადემიის მეოთხე კურსის სტუდენტია.

"ვფიქრობ, ჩემზე დაკისრებულ პასუხისმგებლობებს ღირსეულად გავართმევ თავს. არ ვაპირებ პროექტებზე მუშაობის შეწყვეტას, უფრო და უფრო გაიზრდება ეს აქტივობები, რადგან საბოლოოდ დავმკვიდრდი ამ ქალაქში. მისასალმებელია, რომ მუნიციპალიტეტის გამგებელი, ბატონი ვალერი ფოცხვერია აძლევს ახალგაზრდებს შანსს, წარმოაჩინონ თავიანთი შესაძლებლობები, აუცილებლად გაამართლებს ასეთი მიდგომა და ყოველივე დადებითად აისახება ჩვენს ქალაქზე და მის მომავალზე". _ განუცხადა "სამტრედიის მაცნეს" დავით მანჯგალაძემ.



ნანა ჯვარშეიშვილმა დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს ინჟინერინგის ფაკულტეტი სამართალმცოდნის სპეციალობით. აქვს მუშაობის გამოცდილება, პრივატ ბანკში საკრედიტო ინსპექტორის პოზიციაზე მუშაობდა. როგორც თავად ამბობს, იყო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის აქტიური წევრი, "ვატარებდით იმიტირებულ სასამართლო პროცესებს, ვმონაწილეობდი სხვადასხვა საორგანიზაციო საკითხების მოგვარებში". _ გვეუბნება ნანა, მისივე თქმით, გაიარა ყველა სავალდებულო პროცედურა და მოიპოვა საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში სპეციალისტის პოზიციაზე მუშაობის უფლება. "ყველა აქტივობაში ჩავერთვები, მაქსიმუმს გავაკეთებ იმისთვის, რომ ჩემზე დამყარებული იმედები არ გავუცრუო იმ ადამიანებს, ვინც ნდობა გამომიცხადა". _ ამბობს ახალგაზრდა კადრი.





მუნიციპალიტეტის გამგებელი, ვალერიანე ფოცხვერია: "ეს ახალგაზრდები შევარჩიეთ ბევრ იმ ახალგაზრდას შორის, რომლებმაც დასაქმების თაობაზე განცხადებით მომმართეს. ისინი ჯერ დროებით მოვალეობის შემსრულებლები არიან, თუკი გაივლიან კონკურსს, ჩააბარებენ გამოცდებს, შეინარჩუნებენ თავიანთ პოზიციას. უკვე შეიქმნა ახალი საგამოცდო კომისია, ვმუშაობთ ამ საკითხებზე, ჯერ სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა შევასრულოთ, რამდენიმე ვაკანსიაზე არის გადაწყვეტილება გამოტანილი, ერთი სიტყვით, ახალ წლამდე ყველაფერი გაირკვევა.

დათოს ყველა იცნობს, ჭკვიანი, ნიჭიერი ახალგაზრდაა, ინტელექტკლუბის წევრია, ნანაც ნიჭიერი გოგონაა, წინა კონკურსში მიიღო მონაწილეობა, საკმაოდ მაღალი ქულა მოაგროვა, გადავხედე მათ მონაცემებს და საშუალება და შანსი მივეცი, თავიანთი თავი გამოეცადათ ამ პოზიციაზე".

# ტენიანობის საზომი აპარატით სამტრედიელები ისარგებლებენ

ამას წინათ, სამტრედიას კეთილი მისიით სტუმრობდნენ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს, სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპული ფონდისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლები.



სტუმრებმა სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამტრედიის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურს **ტენის საზომი აპარატი** გადასცეს.

_ აპარატი ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევს ფერმერებს წარმოებული კულტურების ტენიანობის განსაზღვრაში.

ყველაფერი კი, საქართველოში სიმინდის მოსავლიანობის განსაზღვრის ამერიკული მეთოდის დანერგვის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა, განუცხადა "სამტრედიის მაცნეს" სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამტრედიის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსმა, **ბატონმა მამუკა კვანტალიანმა**.

ლევან გაბიჩავა

# გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქციას

გილოცავთ ჩემი და რაიონის მოსახლეობის საყვარელი გაზეთის "სოციალისტური შეტევის", "წინსვლის" და ახლა უკვე "სამტრედიის მაცნეს" ჟურნალისტთა სახელოვან კოლექტივს გაზეთის 86 წლისთავს. მეამაყება, რომ 1946 წლიდან ვარ ჩვენი გაზეთის შტატგარეშე კორესპონდენტი, მიყვარხართ ისე, როგორც მაშინ, როცა ბავშვი ნიგორზღვის 8 წლიანი სკოლის მოსწავლე ვიყავი. იმ დროს 2 გვერდიანი იყო გაზეთი, ახალა კი უფრო დიდი ფორმატით გამოდის, 12 გვერდიანია, უფრო საინტერესო და შინაარსიანია.

კიდევ ერთხელ გილოცავთ, გისურვებთ წარმატებებს თქვენს საქმიანობაში, დიდი ილიასი არ იყოს: "ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გინდა ტაში, რასაც ვმსახურობთ, კვლავ ერთგულად მას ვემსახუროდ"...

ბორის კახიანი
შტატგარეშე კორესპონდენტი



# ვაქცინაცია გრძელდება

მსხვილფეხა თუ წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის დროულ ვაქცინაციას რომ დიდი მნიშვნელობა აქვს, ამაზე დიდი ხანია, არ დავობენ.

როგორც ვიუწყებოდით, მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს ვაქცინაციის პროცესი.

სურსათის ეროვნული სააგენტოს იმერეთის რეგიონალური სამმართველოს ინსპექტორის, **ზაზა მეგრელიშვილის** ინფორმაციით, 14 სექტემბრიდან დღემდე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჯილეხზე 1700 სული, ხოლო თურქულზე 7 000 პირუტყვია აცრილი.

ამჯერად ვაქცინაცია სოფელ დიდ ჯიხაიშში მიმდინარეობს.

არის თხოვნა, მოსახლეობა გაგებით შეხვდეს ვაქცინაციის პროცესს, რომელსაც სურსათის ეროვნული სააგენტოს ხელშეკრულებით აყვანილი ვეტერინარი სპეციალისტები აწარმოებენ.

ცნობისათვის: ვაქცინაციის პროცესი უფასოა, იგი სახელმწიფო პროგრამებით წარმოებს.

ლევან გაბიჩავა

# ვულოცავ!

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" თანამშრომლებს გაზეთის საიუბილეო თარიღს და იმ დიდ ჯილდოს, რომელსაც "რეიტინგი ოქრო" ჰქვია. უკვე წლებია მათთან ლამაზი მეგობრობა მაკავშირებს. მინდა დიდი მადლობა გადავუხადო სიყვარულისათვის, რომლითაც ეს გაზეთია გაჯერებული.

ცოტა როდია 86 წელი.

უკვე მრავალი წელი, რამდენი მკა და ცელი, ნამკალში მიმოფანტული სიხარული და ცრემლიც.

თქვენ შეძელით და გაუძელით ამ ქარტეხილებს. მუდამ პირნათლად და ღირსეულად გევლოთ იმ გზაზე, რომელსაც გზამართალი ჰქვია.

მაყვალა ჩირგაძე

# დავით უსუფაშვილის წასვლა ამ პარტიიდან არ იყო სპონტანური გადაწყვეტილება

# ძალიან გამყოლი გული, გრძელი ხელები და ცოდნით დამძიმებული თავი მაქვს

თეა ბაბუნაშვილი

**დავით უსუფაშვილის მიერ "რესპუბლიკური პარტიის" დატოვების ხმაურიანი პოლიტიკური ექო, ჯერ ისევ არ მიწყნარებულა არჩევნებგადავლილ საქართველოში. მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნა, ვფიქრობთ შესაფერისი ეპითეტია ამ მოვლენის ასაღწერად. უკვე ყოფილი "რესპუბლიკელი" მიზეზებზე ხმამაღლა საუბარს თავს არიდებს, მაგრამ თავად ფაქტი განმარტებების გარეშეც უკვე დასაფიქრებელი ცვლილებაა ქართული პოლიტიკური სპექტრის სინამდვილეში. მოსალოდნელიც იყო, რომ პარტიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სახესა და ლიდერს თანამოაზრეების ჯგუფიც თან გაჰყვა. საკუთარი სიმპათიები პარტიაში დარჩენილებისადმი ხმამაღლა გამოხატა უკვე გუნდიდან წასულმა დავით უსუფაშვილმა. აღნიშნა ისიც, რომ მისი ეს ნაბიჯი არჩევნებში პარტიის წარუმატებლობას არ უკავშირდება.**

**საინტერესო კითხვებზე საპასუხოდ, ბუნებრივია სამტრედიელ "რესპუბლიკელთან", იმედა გოგავასთან ვისაუბრეთ. პარტიის პოლიტსაბჭოს წევრი საკუთარ შეხედულებებსა და პოზიციებს პოლიტიკური გაერთიანების კულუარებში დადასტურებული, სანდო ინფორმაციებზე დაყრდნობით აფიქსირებს. უსუფაშვილის ამ ნაბიჯს, "რესპუბლიკელებისთვის" დიდ დანაკლისად მიიჩნევს, ხოლო "რესპუბლიკურ პარტიას" რომლის წევრიც თავად უკვე არაერთი წელია გახლავთ, უწოდებს ადგილს, სადაც თავს კომფორტულად გრძნობს. მოულოდნელი სიახლიდან გამომდინარე მისი საბოლოო გადაწყვეტილება ახლო მომავალში გახდება ცნობილი.**

**და ერთი დეტალიც, რომელზე საუბრის დროსაც ჯერ ისევ "რესპუბლიკური პარტიის" სამტრედიის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე იმედა გოგავას სიმკაცრე ეტყობა, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, "ოპოზიციიდან პოზიციონერობა" და "თბილი სავარძლის დათმობაა". მხედველობაში ის ადამიანები ჰყავს, ვინც მისი რეკომენდაციით მოხვდნენ თანამდებობებზე.**

**იმედა გოგავას გადაწყვეტილებები პოლიტიკური მოვლენების განვითარებასთან ერთად გახდება ცნობილი. იმისიც სჯერა, რომ როგორც არ უნდა განვითარდეს მოვლენები, "რესპუბლიკური პარტია" სათქმელს ყოველთვის იტყვის.**

— **დავით უსუფაშვილის მიერ "რესპუბლიკური პარტიის" დატოვება მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნის ტოლფასი იყო. ბუნებრივია, მას თინა ხიდაშელი და პარტიის სხვა ცნობილი სახეები მიჰყვნენ. რა ხდება ამ პოლიტიკურ გაერთიანებაში, რამ გამოიწვია ასეთი რადიკალური ცვლილებები და რამდენად გამართლებულია თქვენთვის ეს გადაწყვეტილება?**

— "რესპუბლიკურ პარტიაში" ჩემი მისვლის დროს მას დავით უსუფაშვილი ხელმძღვანელობდა. ამ პარტიაში ვიყავი და ვარ იმის გამო, რომ ჩემს შინაგან პრინციპებს, შეხედულებებს აბსოლუტურად ესადაგება და ეთანხმება მისი პრინციპები. ეს პარტია თავის თავში გულისხმობს ადამიანის შინაგან თავისუფლებას, ლიბერალიზმს, მემარჯვენე ორიენტაციას. ეს არის ჩემთვის ყველაზე მთავარი. აქ ძალიან კომფორტულად ვგრძნობდი და ვგრძნობ თავს. რაც შეეხება უსუფაშვილის წასვლას ამ პარტიიდან, ეს არ იყო სპონტანურად მიღებული გადაწყვეტილება. მე კომიტეტის წევრი გახლავართ და ძალიან ხშირი და ახლო ურთიერთობები მაქვს იმ ჯგუფთან პარტიის სათავეში რომ დგას. ბოლო პერიოდში ცხარე დებატები იმართებოდა პარტიის პრიორიტეტებზე და მის მომავალ სტრატეგიაზე. აქამდე აზრთა სხვადასხვაობა ყოველთვის შეჯერდებოდა ხოლმე ერთი კონკრეტული გადაწყვეტილებით. როგორც ჩანს, ეს რესურსი ამოიწურა. ამის ნათელი მაგალითია, რომ უსუფაშვილმა, ხმალაძემ, ხიდაშელმა და კიდევ რამდენიმე ლიდერმა დატოვა პარტია.

— **უკვე ხმამაღლა საუბრობენ მის მიერ ახალი პარტიის შექმნის შესაძლებლობაზე და ალასანიასთან ან პრეზიდენტთან შესაძლო ალიანსზე.**

— მე ასე არ ვიტყოდი, უსუფაშვილი გეგმავს ძალიან კომპეტენტურ და ჭკვიან ადამიანებთან ერთად სერიოზული პოლიტიკური გაერთიანების შექმნას. ეს არ იქნება ჯგუფი მხოლოდ იმ დატვირთვით, ვინც ესიმპათიურება უსუფაშვილს, ან ვისაც ესიმპათიურება უსუფაშვილი. აქ შეიძლება ვიხილოთ ადამიანები, რომლებსაც იქნებ არანაირი შეხება არ აქვთ, ან ჰქონიათ "რესპუბლიკურ პარტიასთან". მეტიც, ჩემი ინფორმაციით, უკვე დაწყებულია მოლაპარაკებები ადამიანებთან, პარტიული საერთოდ რომ არ ყოფილან. მართლა ღირსეული პიროვნებებისგან შეიქმნება ეს პოლიტიკური გუნდი, შემდეგ ვინ იქნება მისი ლიდერი, თავად მიიღებენ გადაწყვეტილებას. არ არის გამორიცხული, რომ მას ჰყავდეს რამდენიმე ლიდერი.

— **იმედა გოგავას ინტერესები საით იხრება, ახლად შესაქმნელი გუნდისკენ, თუ "რესუბლიკური პარტიისკენ", მით უმეტეს, რომ იგი პოლიტსაბჭოს წევრია?**

— უკვე ვთქვი, რომ ამ პარტიაში კომფორტულად ვგრძნობდი და ვგრძნობ თავს. ჯერჯერობით არანაირი გადაწყვეტილება მიღებული არ მაქვს. არჩევნების შემდეგ პარტია დღემდე არ შეკრებილა. ალბათ ამ დღეებში შევიკრიბებით და პირველ რიგში რამდენიმე კითხვაზე პასუხი მაინტერესებს, მაგალითად: რატომ მოხდა ის, რაც მოხდა, რატომ ვერ მოახერხეს ლიდერებმა პოზიციების შეჯერება, რატომ წავიდა პარტიიდან, უკვე ბევრი წელია მისი წევრი დავით უსუფაშვილი. თინა ხიდაშელი ცოტა მოგვიანებით შეუერთდა პარტიას, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, ვინ როდის გახდა მისი წევრი.



საინტერესოა, თუ არსებობდა ამ ხალხის შენარჩუნების მინიმალური შანსი. ამ კითხვებზე პასუხები რომ მეცოდინება, მერე ჩამოვყალიბდები სად შეიძლება იყოს ჩემი ადგილი.

— **ვიტყვი ისე, როგორც ახლა მოდაშია, გონივრული ეჭვი მაქვს, რომ ახლად ჩამოყალიბებული გუნდისკენ, უფრო ზუსტად, უსუფაშვილისკენ გადაიხრები.**

— მართალი გითხრათ, ბოლო პერიოდში კომუნიკაცია უსუფაშვილთან ნაკლებად მაქვს, მაგრამ მაქვს კომუნიკაცია თინა ხიდაშელთან. იმაზე, რაც მოხდა ჩვენ არ გვისაუბრია, მით უმეტეს ტელეფონით. თუმცა ჩემი გადასახედიდან უდავოა, რომ ქართული პოლიტიკური სივრცისთვის დათო უსუფაშვილის ამ პარტიის ჩარჩოებს გარეთ აღმოჩენა გაცილებით კარგია. სწორად გამიგეთ, ამაში ვგულისხმობ იმას, რომ თავისი პოლიტიკური გაბარიტებით, ჩემი აზრით, ვერ ეტეოდა იმ ჩარჩოში, რასაც "რესპუბლიკური პარტია" გულისხმობდა. უსუფაშვილი ჰაერივით სჭირდება ქართულ პოლიტიკას. ის შავი კლიშეები, რაც მიკერებული ჰქონდათ "რესპუბლიკელებს", ხელს უშლიდა მას და არა მარტო მას, თვითრეალიზებაში. მე "რესპუბლიკელებს" წარმატებებს ვუსურვებ, ყოფილი "რესპუბლიკელი" არ არსებობს...

— **... ისევე როგორც ყოფილი ჟურნალისტი? შენ ორივე ხარ, ყოფილი ჟურნალისტიც და "რესპუბლიკელი" ვნახოთ...**

— ახლა ჟურნალისტიკაზე საუბარი თემიდან გადახვევა იქნება, მაგრამ ერთი რამ უნდა ვთქვა, დღეს ისეთი "პროფესიონალები" არიან ჟურნალისტიკაში, რომ არ უნდა გვიკვირდეს ადამიანები ისეთ პოლიტიკოსებს რომ აძლევენ ხმას, როგორსაც აძლევენ. მე, როგორც ამომრჩეველი, ასეთ პოლიტიკოსებს ხმას ვერასდროს მივცემდი.

— **შენს შემთხვევაში ამომრჩეველს "რესპუბლიკელობა" უდავოდ განსაზღვრავს.**

— იქნებ, მაგრამ ეს ფაქტია.

— **გამოიკვეთა აზრი, რომ უსუფაშვილს სურდა "რესპუბლიკელები" უფრო "ნაციონალებისკენ" გადახრილიყვნენ.**

— მე ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით ამაზე.

— **თევზი თავიდან ფუჭდებაო, ნათქვამია. ამ "რღვევამ" სათავეში, რა შედეგი გამოიღო პერიფერიებში?**

— სამტრედიას ეს ცვლილებები ჯერჯერობით არ ეტყობა. როგორც გითხარით, ჯერ ყველაფერი კარგად უნდა გავიგოთ და მერე მივიღებთ იმ გადაწყვეტილებებს, რასაც სწორად ჩავთვლით. სხვა რაიონულ ორგანიზაციებში არის გარკვეული ცვლილებები, მაგრამ სამტრედიაში ჯერ ახალი არაფერია ამ კუთხით.

აქვე ერთ რამეზე მინდა ყურადღების გამახვილება. რა თქმა უნდა, მეტი ხმის აღების მოლოდინი გვქონდა, მიუხედავად იმისა, რომ ფინანსური რესურსი ფაქტობრივად არ გვქონია, გვქონდა ადამიანური რესურსი და ამით ვაპირებდით გარკვეული ხმების მიღებას. იმას, რასაც ახლა ვიტყვი, პირველად ვამბობ და იმედია თქვენი გაზეთის მეშვეობით წაიკითხავენ პარტიის ის წევრები, რომლებიც სამწუხაროდ არ შემოგვხმიანებია წინასაარჩევნო პერიოდში. მათი უმრავლესობა არიან ის ადამიანები, თავის დროზე ამა თუ იმ თანამდებობაზე რომ დაინიშნენ. მინდა მათ გასაგონად ვთქვა, თუ ბევრი არა, რამდენიმე ხელისუფლების ცვლილების მომსწრე და მონაწილე ვარ. ძალიან ბევრი ადამიანი მინახავს გადამხტარი, გადმომხტარი და ასე შემდეგ. ამით ვერ გამაკვირვებენ. ადამიანურმა ფაქტორმა დამწყვიტა გული. ზოგიერთმა ვერ შესძლო და ვერ გადაახტა საკუთარ თავს. მათ ოპოზიციიდან პოზიციონირებას ხელისუფლებაში კომფორტულად ყოფნა არჩიეს.

— **ამ სიტყვებიდან გამომდინარე, რაღაც ინფორმაცია გაქვთ, რომ ვინმე ხელისუფლების სასარგებლოდ წავიდა თქვენი პარტიიდან?**

— ინფორმაცია მაქვს ის, რასაც საკუთარი თვალით ვუყურებ. მათ ჩათვალეს, რომ რადგან "ქართული ოცნება" დღეს ხელისუფლებაშია და თავად თანამდებობებზე არიან დანიშნულები, ვალდებულები არიან სახელისუფლებო პარტიას დაუდგნენ გვერდით. მათი გადასაწყვეტია ვის გვერდით დადგებიან და ვის მხარეს დაიჭერენ. მაგრამ, როცა შენი პარტია ცალკე გამოდის არჩევნებში, მინიმუმ უნდა მოხვიდე და შენი პოზიცია დააფიქსირო. არ ვიღებ იმას, რომ ვინმე ვინმეს ეუბნებოდა, თუ ხელისუფლების მხარეს არ დადგები სამსახურს დაკარგავ. არ გამოვრიცხავ, რომ ასეთი რამ შეიძლება იყო. ეს მაინც არ ამართლებს ამ ადამიანებს, არ ამართლებს იმას, რომ მათ თავი ჩარგონ ჩირგვში, ვითომ არც არაფერი ხდება. მათთან ვწყვეტ პარტიულ ურთიერთობას. კარგი იქნება, თუ დაწერენ განცხადებას პარტიიდან წასვლის შესახებ, მაგრამ თუ არ დაწერენ, მე მათთან პარტიული ურთიერთობები მაინც შევწყვიტე. დრო განსჯის ვინ იყო მართალი. იქნებ მე ვცდები და ისინი არიან პოლიტიკურად მოაზროვნეები და აღმშენებლები. ბევრი მინახავს და ბევრს ვნახავ ისეთს, სიტუაციის მიხედვით რომ იცვლიან ტყავს. რამდენიმე ამოიცნობს ამ სიტყვებში საკუთარ თავს, ისინი, პირადად ჩემი რეკომენდაციით რომ მოხვდნენ თანამდებობაზე და სამსახურში. არავისთვის მიმიცია რეკომენდაცია პარტიული კუთვნილების გამო. მივეცი იმიტომ, რომ მათი უნარ-ჩვევებისა და განათლების მჯეროდა. ვფიქრობდი, ისინი გამოდგებოდნენ საჯარო სამსახურში. რამდენიმე მათგანმა სერიოზულად გამიცრუა იმედი, იმიტომ, რომ მოიქცნენ ვიწრო პარტიული ინტერესებიდან გამომდინარე. ისინი გახდნენ მმართველი გუნდის აგიტატორები, მისი დაგეშილი ქოფაკები...

— **დავწერო ასე არაკორექტულად?**

— კი ბატონო! საჯარო მოსამსახურე არ არის არც ერთი პარტიის წევრი, საჯარო მოსამსახურე ყველა მოქალაქეს და მათ ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს. ვაღიარებ, რომ შევცდი იმ ადამიანებში, ვისაც ამ სიტყვებში ვგულისხმობ. ერთგან დავწერე, რომ ძალიან გამყოლი გული, გრძელი ხელები და ცოდნით დამძიმებული თავი მაქვს.

— **ემუქრები?**

— არ ვემუქრები, ეს ისე... ასეთი ადამიანების ადგილი ერთხელ და სამუდამოდ აღარ უნდა იყოს იქ, სადაც არიან. იმედი მაქვს, მოვა ამ ქვეყანაში ხელისუფლება, სადაც საჯარო მოხელეები არ იქნებიან არც ერთი პარტიის აგიტატორები, უბრალოდ, მათ ვერ გაუბედავენ შესთავაზოს რომელიმე პარტიამ კოორდინატორად თუ დამკვირვებლად ჩასმა. ვერც ამომრჩეველს გაუბედავენ მაშინ ტომარა ფქვილით მოსყიდვას. ვერ ავაშენებთ ქვეყანას ისე, თუ მოქალაქე არ გავხადეთ ყველაზე მთავარი ღირებულება. ღირებულებითი დეფიციტი ნამდვილად გვაქვს.

— **საუბრის თემას ავცდით, "რესპუბლიკელებს" დავუბრუნდეთ, ამ პარტიის მომავალი როგორ წარმოგიდგენია?**

— მე მაინც მგონია, რომ დავით უსუფაშვილის პარტიიდან წამოსვლა დიდი დანაკლისი იქნება ამ პოლიტიკური გაერთიანებისთვის. უსუფაშვილი არ იყო მხოლოდ ლიდერი ან პარტიის წევრი, იგი იყო სერიოზული კავშირები, სხვა გაქანების პოლიტიკური ფიგურა. პარტია, როგორც ასეთი, მან შექმნა. მანამდე იგი იყო ინტელექტუალების ვიწრო ჯგუფი, რომელთაც, რა თქმა უნდა, პარტიული მუშაობის გამოცდილება ჰქონდათ. ამ პოლიტიკური გაერთიანებიდან უსუფაშვილის წამოსვლას ეპოქალური მნიშვნელობა აქვს, ისევე როგორც მისი იქ მისვლა იყო უნიკალური მოვლენა.

— **მაგრამ დავით უსუფაშვილმა აღნიშნა, რომ დავით ბერძენიშვილმა ჩამოაყალიბა პოლიტიკოსად და მადლობაც საჯაროდ გადაუხადა მას ამისთვის.**

— კი ბატონო! ჩემი განსაკუთრებული სიმპათია მინდა გამოვხატო დათო ბერძენიშვილის მიმართ. იგი მიმაჩნია ერთ-ერთ ყველაზე მოაზროვნე პოლიტიკოსად, ანალიტიკოსად საქართველოში. დავით ბერძენიშვილი და დავით უსუფაშვილი სასწორის ორი პინა გახლდათ და ისინი ერთმანეთს ავსებდნენ.

— **რადგან თითქმის ყველა ლიდერმა დატოვა პარტია, არსებობს თუ არა ალბათობა იმისა, რომ ძმებმა ბერძენიშვილებმაც იგივე არჩევანი გააკეთონ?**

— არავითარ შემთხვევაში, გამორიცხულია! "რესპუბლიკური პარტია" მათი დაარსებულია, თავად იდგნენ მის სათავეებთან. სამი კაციც რომ დარჩეს ამ პარტიაში, ორი ბერძენიშვილები იქნებიან. ეს პარტია იმაზე გაცილებით მეტ ადამიანს აერთიანებს, ვიდრე ვინმეს წარმოუდგენია, მაგრამ ამ არჩევნებზე გამოჩნდა, რომ ძალიან ებრძოდნენ "რესპუბლიკელებს", ვიღაცის უხილავი ხელი ყველაფერს აკეთებდა მათი რეიტინგის გასაფუჭებლად.

— **და ვინ იყო ის უხილავი, ვისზე გაქვთ ეჭვი?**

— ასე ხელაღებით არ მაქვს არგუმენტი ვინმე დავასახელო, მაგრამ თქვენი არ იყოს, მეც მაქვს გონივრული ეჭვები, რომ დავისაჯეთ იმ "ურჩობისთვის", რაც ჩვენ პარლამენტში თუ მის გარეთ გავაკეთეთ. მინდა გითხრათ, რომ გამოუვიდათ, თუმცა ეს გამოუვიდათ ისე ნათქვამია, ბრჭყალებში. აქვე დავამატო მინდა, რომ მე პატივს ვცემ ამომრჩევლის აზრს. მაგრამ ამომრჩეველიც ძალიან მალე მიხვდება, რომ შეცდომა დაუშვა და პარლამენტს გარეთ დატოვა ძალა, რომელიც ყველაზე მეტად არის მზად პარლამენტში მუშაობისთვის. რას აკეთებდნენ "რესპუბლიკელები" პარლამენტში სულ მალე გაირკვევა, ეს დაეტყობა ახალი პარლამენტის მუშაობას მისი შეკრების პირველსავე დღეებში. ყველა გამოაჩენს საკუთარ ნამდვილ სახეს და ამას ვერავინ ვერ ასცდება.

# წადი მონასტერში, აღიკვეცე ბერად და ილოცე მათთვის









ნინო ნანიტაშვილი

სამყაროს შემქმნელი უფლის სადიდებელი იდგა 2016 წლის 3 ნოემბრის სამტრედიაში. დღე, რომელიც ასე სათუთად გამოირჩა ხონი-სამტრედიის ეპარქიის უახლოეს ისტორიაში. 3 ნოემბერს ქალაქი რამდენიმე უმნიშვნელოვანეს თარიღს ზეიმობდა, უპირველესად ხონი-სამტრედიის ეპარქიის აღდგენიდან 20 წლისთავს, წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძრის 5 წლის იუბილეს, მეუფე საბას მღვდელმთავრად კურთხევის 20 წლისა და დაბადებიდან 50 წლის შესრულებას, ხოლო ბერად აღკვეციდან 25 წლის იუბილეს.

საზეიმო წირვა-ლოცვა დილის 10 საათზე დაიწყო და 3 საათზე მეტი გასტანა. მრევლი სასოებით ელოდა იუბილარი მეუფის გამოჩენას, ტაძარი ვერ იტევდა სადღესასწაულო წირვაზე მისულ მრევლს, რომელთა შორის იყვნენ ხონი-სამტრედიის ეპარქიის სამღვდელოება, სტუმრები იმერეთის გუბერნიიდან, დედაქალაქიდან საგანგებოდ ამ დღისთვის ჩამოსული სხვადასხვა სფეროში მოღვაწე წარმატებული სამტრედიელები, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები.

წირვა-ლოცვის დასრულების შემდეგ დეკანოზმა ვახტანგმა შეკრებილებს სამტრედიის საკათედრო ტაძრის კურთხევის 5, მეუფე საბას მღვდელმთავრად დადგინების 20 და ბერად აღკვეცის 25 წლის საიუბილეო თარიღები კიდევ ერთხელ შეახსენა, მიულოცა, მეუფის ღვაწლსა და პიროვნულ თვისებებზე ისაუბრა.

ათეულობით აღდგენილი ეკლესია-მონასტერი და ახლად აგებული უფლის სახლი, მრევლის გაძლიერება, ხონი-სამტრედიის ეპარქიაში მეუფე საბას 20 წლიან მოღვაწეობას უკავშირდებოდა, ამ დამსახურებისა, უანგარო სიკეთისა და მრევლის სულიერებაზე ყოველდღიური ზრუნვის გამო ადამიანები მეუფის მიმართ მოწიწებას ყოველთვის გამოხატავენ.

“ვკითხე საკუთარ თავს: რა შეგიძლია, გაუკეთო შენს ხალხს და ქვეყანას? _ ანაზდად საფარის მამათა მონასტრის წინამძღოლის, მღვდელ-მონაზონ სერგის, მოგვიანებით მიტროპოლიტ სერგი ჩეკურიშვილის შეგონება გამახსენდა: “ჩვენი ქვეყნის ბედნიერება დამოკიდებულია ეკლესიის სიძლიერეზე, მონასტრებისა და ბერ-მონაზვნების სიმრავლეზე’’. ამიტომ წუთითაც არ დავფიქრებულვარ და საკუთარ თავს შემოვუძახე: წადი მონასტერში, აღიკვეცე ბერად და ილოცე მათთვის’’. _ ასე აღმოჩნდნენ მონასტერში ინსტიტუტიდან მეუფე საბა და მისი მეგობარი, შემდგომში მიტროპოლიტი თედორე ჭუაძე.

მიტროპოლიტი საბა, ერისკაცობაში ზაზა როინის ძე გიგიბერია, დაიბადა 1966 წლის 28 სექტემბერს სენაკის რაიონის სოფელ ძველ სენაკში. 1983 წელს დაამთავრა ძველი სენაკის საშუალო სკოლა, რომელიც 1884 წელს დიდ ილია ჭავჭავაძეს დაუარსებია. თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის სტუდენტმა საფარის მამათა მონასტერში სარესტავრაციო სამუშაოებში მიიღო მონაწილეობა და სწორედ იქ გაიცნო მღვდელ-მონაზონი სერგი, რომელმაც ახალგაზრდებს ქრისტიანული ცხოვრების წესი ასწავლა და შეაყვარა.

ძნელი იყო ოჯახისთვის ერთადერთ ვაჟთან განშორება. მშობლები გაგებით შეხვდნენ მემკვიდრის გადაწყვეტილებას; მამის ცრემლიანმა თვალებმა ტაძრისაკენ მიმავალი გზა დაულოცეს და ასე დალოცვილი გზით იარა მეუფე საბამ მთელი ცხოვრება, ლოცვით მოვიდა იგი ჩვენს ეპარქიამდე, რომელიც 20 წლის წინ თითქმის იავარქმნილი, სასოწარკვეთილი ჩაიბარა და დროთა განმავლობაში, სრულიად საქართველოს მასშტაბით, თვალსაჩინო გახადა: ათეულობით აღდგენილი ეკლესია-მონასტერი, რამდენიმე ათეული ახლად აგებული უფლის სახლი, მრევლის მომრავლება, ადამიანების რწმენაში გაძლიერება, ხონი-სამტრედიის ეპარქიაში მეუფე საბას მოღვაწეობას უკავშირდება.

იუბილარი ტაძრის მაკურთხებელი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი, ილია მეორე ბრძანებს: “პიროვნების როლი ქვეყნის ცხოვრებაში უდიდესია. არიან ადამიანები, ღვთის ნიშნით გამორჩეულნი, რომელნიც თესენ სიყვარულს, სათნოებას, ჰქმნიან, აშენებენ, თავად ილვწიან და სხვასაც გზას უნათებენ. მეუფე საბა სწორედ ასეთი მღვდელმთავარია. ამიტომ უყვართ იგი თავის ეპარქიაში. სიყვარული და აღიარება დიდი სულიერი ღვაწლით მოიპოვება’’.

მეუფე საბას ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრში დღის 2 საათისთვის ელოდნენ. საზეიმო წირვის დასრულებისთანავე მიტროპოლიტი მრევლთან და მოწვეულ სტუმრებთან ერთად საზეიმო ღონისძიებაზე დასასწრებლად კულტურის ცენტრისაკენ გაემართა. ხონი-სამტრედიის ეპარქიის მმართველს იმერეთის გუბერნატორი, გივი ჭიჭინაძე, საქართველოს პარლამენტის წევრები, გიორგი კახიანი და გრიგოლ მიქელაძე თანმხლებ პირებთან ერთად ელოდნენ. აქვე იყვნენ ჩვენი თანაქალაქელი, ყველასათვის ცნობილი და საყვარელი მსახიობები, დავით დვალიშვილი, ჯემალ ღაღანიძე, დავით კვირცხალია, ნიკა წულუკიძე. მეუფის შემობრძანებას კულტურის ცენტრთან არსებული ვაჟთა ანსამბლი “ღირს არსის’’ საგალობლით შეეგება. დარბაზში გადანაცვლებისას კი ქალთა ანსამბლი მეუფეს ღვთისმშობლის საგალობლით მიესალმა.

ეპარქიის აღდგენიდან 20 წლის, დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძრის კურთხევიდან 5 წლის, მეუფე საბას ბერად აკვეციდან 25 წლისა და მიტროპოლიტის დაბადებიდან 50 წლის იუბილესადმი მიძღვნილი აკადემიური საღამო მიჰყავდა ჟურნალისტ ნინო ნანიტაშვილს, რომელმაც მეუფის მოღვაწეობასა და მის უდიდეს როლზე, ეპარქიის აღორძინებასა და გაძლიერებაზე ისაუბრა. დარბაზიდან უსაზღვრო ემოციური მუხტი მოჰყვა საღამოს წამყვანის მონოლოგს, სადაც მკაფიოდ იქნა მოთხრობილი მიტროპოლიტის მიერ განვლილ ცხოვრების თითოეულ დეტალზე. წამყვანის გამოსვლის შემდეგ დაიწყო საღამოს საკონცერტო ნაწილი. დარბაზში მსხდომ მაყურებლის წინაშე წარსდგა ქუთაისის სიმფონიური ორკესტრი, რომელმაც სოლისტებთან ერთად 6 მუსიკალური ნომერი მიუძღვნა 3 ნოემბრის იუბილეს.

სიმფონიურ ორკესტრთან ერთად მუსიკალური ნომერი შეასრულა მომღერალმა ანა აბზიანიძემ, რომელსაც მოჰყვა სამტრედიის მუნიციპალიტეტში მოღვაწე სხვადასხვა ფოლკლორული ქორეოგრაფიული ჯგუფების მიერ შესრულებული საკონცერტო ნომრები.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ სამუსიკო და სახელოვნებო სკოლების პედაგოგები, კულტურის ცენტრთან არსებული ანსამბლები, ქორეოგრაფიული ანსამბლების “ზრდა მოცეკვავისა’’, “სამტრედიას’’, “იმერის’’, “ლილეს’’, “შევარდენის’’ ქორეოგრაფები. რეჟისორი გახლდათ კულტურის ცენტრის დირექტორი ვეფხია ნადირაძე. საღამოს კულმინაცია იყო წამყვანის მიერ სცენაზე მეუფე საბას მოწვევა. მიტროპოლიტთან ერთად სცენაზე ავიდა იმერეთის გუბერნატორი, გივი ჭიჭინაძე და სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებელი, ვალერიანე ფოცხვერია. მათ საზოგადოებას და მეუფე საბას კიდევ ერთხელ მიულოცეს 3 ნოემბრის ღირსშესანიშნავი თარიღები. საღამოს დასასრულს მიტროპოლიტი თბილი სიტყვებით მოეფერა საზოგადოებას, უფალს კიდევ ერთხელ შეავედრა ხონი-სამტრედიის ეპარქიის გაძლიერება, მადლობა გადაუხადა ღონისძიების ორგანიზატორებს.

კონცერტის დასასრულს ორგანიზატორების სახელით საღამოს წამყვანმა მადლობა გადაუხადა ტელეკომანია “ზარის’’ დირექტორს, ოთარ თევზაძეს იმ უნიკალური ვიდეო მასალისათვის, რომელიც მთელი საღამოს განმავლობაში დიდ ეკრანზე გადიოდა და ტაძრის საძირკვლის კურთხევიდან ყველა ეტაპს მოიცავდა.

გივი ჭიჭინაძე, იმერეთის გუბერნატორი: “მაქვს პატივი მეუფეს ვიცნობდე 1998 წლიდან, მისი მოღვაწეობის მნახველი და თანამოზიარე ვარ, დიდი პატივია მეუფის გვერდით ყოფნა. შეიძლება ითქვას, რომ ხონი-სამტრედიის ეპარქიას გაუმართლა, რომ ასეთი მღვდელმთავარი ჰყავს. როგორც პატრიარქის მოღვაწეობის გვირგვინია სამების ტაძარი, მეუფის მოღვაწეობის გვირგვინია წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძარი. მისი მეოხებით და დიდი სულიერი ღვაწლით აშენდა ეს ეკლესია. მთელ საქართველოს მივულოცავ ამ იუბილეს’’.

ვალერიანე ფოცხვერია, მუნიციპალიტეტის გამგებელი: “ჩვენთვის, სამტრედიელებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი დღეა. ყველას ვულოცავ, სამტრედიელები ზეიმობენ, ტაძარი სავსეა გულანთებული ადამიანებით’’.

გრიგოლ მიქელაძე, საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი: “განსაკუთრებით მინდა, ხაზი გავუსვა იმას, რომ მეუფე საბას უდიდესი წვლილი აქვს შეტანილი ამ ტაძრის მშენებლობაში. საერთოდ კი მიტროპოლიტს ვუწოდებ _ მეუფე საბა აღმაშენებელს. არა მარტო საკათედრო ტაძარი, მას ჩვენს ეპარქიაში ძალიან ბევრი ეკლესია აქვს აშენებული და განახლებული ამ 20 წლის განმავლობაში. კიდევ ერთხელ ყველას ვულოცავ ამ დღესასწაულს, მრავალს დაესწროს ყველა სამტრედიელი და თითოეულს ბედნიერებას და სიკეთეს ვუსურვებ’’.

კობა ძიძიგური, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: “თავის დროზე, როცა ჩვენ ტაძარს ვაშენებდით მაშინვე ვგრძნობდით, რომ უდიდესი მადლი გადმოდიოდა ტაძრის მშენებლობის პროცესშიც კი. ახლა ეს მადლი მთელს სამტრედიას მოეფინება. უკვე ხუთი წელია, ტაძარში წირვა-ლოცვა ტარდება, მისი მადლია მთელს ქალაქსა და მუნიციპალიტეტზე გადმოსული. მინდა, კიდევ ერთხელ მთელს საქართველოს, მართლმადიდებლურ სამყაროს მივულოცო ეს დღე’’.



# ესლა გვაკლდა

დამსაქმებელთა მხრიდან არაადამიანური მოპყრობის ფაქტები გახმიანდა ამ დღეებში ეთერში, რომელშიც ჩინური კომპანია და შესაბამისად ჩინელები ფიგურირებენ.

გამოძიება იმედია დროში არ ჩაკარგავს მტყუან-მართლის დადგენას, მაგრამ:

არასწორია...

მიუტევებელია...

დასაგმობია...

დასასჯელია...

ყველა უცხოელი, ვინც სხვა ქვეყანაში "მეფობას და ადგილობრივთა მონობას" მოისურვებს.

მართლა შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი ყოფილა სტალინი თავის დროზე ჩინელების გულში ჩახუტებაზე რომ უთხრა უარი ცალტვინა ხრუშჩოვს. (იმედია, ასაკის გამო სტალინელობას ვერ დამწამებენ, უბრალოდ არ მიცხოვრია მის ეპოქაში ლ.გ.).

ჩინელები საქართველოს ყველა რეგიონში გამრავლდნენ და...

ამჟამად ნამდვილად არ (ვერ) იქნება ოქრო დუმილი.

ესლა გვაკლდა!

მომხდარის შემდეგ ისევ ძველი დრო მომაგონდა, როცა პროფკავშირები აქტიურად იცავდნენ და არეგულირებდნენ დასაქმებულთა და დამსაქმებელთა შორის ურთიერთობებს.

დღეს პროფკავშირული მუშაობა ქვეყანაში თვითდინებაზეა მიშვებული.

ისმის კითხვა: თუ ცალკეული დარგების პროფკავშირები ასე, თუ ისე არსებობენ, რატომ არაა აუცილებელი პროფკავშირების უფლებები საყოველთაო იყოს?

ყოველივე გვაძლევს საბაბს განვაცხადოთ, რომ ბოლო 25 წელი სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის მხრივ მაქსიმალურად და ყოვლის მომცველად ვერ გამოვიყენეთ საქართველოში.

დაბოლოს, ტოლერანტობა იყო და არის ჩვენი ერისათვის დამახასიათებელი, მაგრამ...

ზომიერებაა საჭირო ყველგან და ყველაფერში.

თურქეთში მომხდარმა ფაქტმაც არანაკლებ შეგვძრა, ბედის უკუღმართობის გამო სამუშაოდ წასული ქართველი ქალბატონი რომ გახდა დამქირავებლის მსხვერპლი.

ასეთ დროს უნდა დაიცვას სახელმწიფომ საკუთარი მოქალაქეები.

**ლევან გაბჩავა**






# არჩევნები ჩატარდა

ცნობილია შედეგები.

მალე ახალი, მეცხრე მოწვევის პარლამენტი მუშაობას შეუდგება.

მართალია, ქართველ ხალხს კანონიერად შეგვიძლია მოვიწონოთ თავი მრავალათასწლიანი სახელმწიფოებრიობით, მაგრამ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ საპარლამენტო ცხოვრების არცთუ დიდი ხნის და არცთუ სახარბიელო ტრადიცია რომ არ გვაქვს.

სამწუხაროა ყოველივე, თუმცა რეალობა.

წინ არ გავუსწრებთ მოვლენებს.

მხოლოდ სურვილითა და იმედით შემოვიფარგლებით.

მშვიდი,

ჯანსაღი,

საქმიანი,

კოლეგიალური გარემო გვსურს ახალ პარლამენტში რომ სუფევდეს, სადაც მხოლოდ აზრთა ჭიდილს ექნება ადგილი და არა მუშტი-კრივსა და ბილწსიტყვაობას, ბოღმისა და ღვარძლის ნთხევას, შურს...

მართალია, 1918-21 წლების პარლამენტში იყო დაპირისპირება და ერთ მოჩხუბარ მხარეს ჩვენი ერის სასიქადულო მეცნიერი წარმოადგენდა, მაგრამ მაშინ სხვა დრო, სხვა საშინაო და საგარეო ფაქტორები განსაზღვრავდნენ ჩვენი ქვეყნისა და ხალხის ბედს, დღეს კი...

როცა არაერთხელ გაცხადებულა, რომ საქართველო მალე გახდება ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციის ღირსეული წევრი, როცა დღითი დღე ფართოვდება ჩვენი ქვეყნის ურთიერთობები საზღვარგარეთის წამყვან სახელმწიფოებთან, როგორც არასოდეს ისეა საჭირო პოლიტიკური ცხოვრების კულტურითაც ისევ და ისევ მოვიწონოთ თავი, როგორც მრავალსაუკუნოვანი სულიერი, მატერიალური და არამატერიალური კულტურის ძეგლებით, ტრადიციებით, იდენტობით, მრავალგზის მრავალი უცხოელი რომ აღუფრთოვანებია.

ვიმედოვნებთ...

სამტრედიელთა რჩეული, რომელიც პარლამენტის მიღმაც მრავალ სიკეთეს სთესდა, ღირსეული წარმომადგენელი იქნება პარლამენტში ყოველი სამტრედიელისა და არა მხოლოდ მათი, ვინც მის პერსონას დაუჭირა მხარი.

მაშ ასე, ახალი მოწვევის პარლამენტი მუშაობას შეუდგება.

როგორც ამბობენ, წიწილებს შემოდგომაზე ითვლიან...

**ლევან გაბჩავა**



# ვეტერანი რკინიგზელი სამტრედიელი თენგიზ ფრუიძე

მატარებელი უსაფრთხოდ რომ გადაადგილდეს და მგზავრმა მშვიდობიანად იმგზავროს, ყოველი დილა იწყება სატელეფონო დიალოგით. თენგიზ ფრუიძე ინფორმაციებს იღებს ჭიათურიდან, ზესტაფონიდან, ტყიბულიდან, რიონიდან, ქუთაისი პირველიდან და ქუთაისი მეორედან, სამტრედიიდან, ზუგდიდიდან, ფოთიდან, სენაკიდან. დასავლეთის სავაგონო დეპოს უფროსის მოადგილე ექსპლუატაციის დარგში ვაგონების ტექნიკური მომსახურების განყოფილების უფროსებს დღის განმავლობაში რამდენჯერმე უკავშირდება, უმეტეს შემთხვევაში, მშვიდობა აქვს, იშვიათია, როცა ცუდ ინფორმაციას იღებს, ძირითადად სარემონტო ვაგონების საგარანტიო უბნებში ახსნას რომ გულისხმობს.

თენგიზ ფრუიძე რკინიგზაში მის მოღვაწეობას ორ ნაწილად ჰყოფს: "ერთი, როცა ტრანსპორტი ინტენსიურად მოძრაობდა, დიდი ტვირთი გადაჰქონდა მგზავრთა სოლიდური ნაკადი გადაჰყავდა. იმ დროს რკინიგზაში მუშაობა სხვაგვარადაც იყო დაფასებული".

მეორე მოიცავს სხვადასხვა წლებს, "როცა ქვეყანაში სამოქალაქო ომი იყო გაჩაღებული, ქართველი კაცი ოკუპანტს აფხაზეთსა და სამაჩაბლოში ებრძოდა. 2008 წლის აგვისტოს ომმა საქართველოს რკინიგზას თავისი უარყოფითი კვალი დაატყო".

რაჭული წარმომავლობის მიუხედავად სამტრედიაში დაიბადა. რკინიგზელი მამის ოჯახში გაზრდამ გავლენა მის მომავალ პროფესიაზეც იქონია. ელექტრო წევის მეურნეობის სპეციალობა აირჩია და 1980 წელს პრაქტიკოს რკინიგზელად დაუბრუნდა სამტრედიას. სალოკომოტივო დეპოში ბრიგადირად მოეწყო. 1982 წლიდან კი სავაგონო დეპოში, სამტრედიის ტექნიკური გასინჯვის პუნქტში გამსინჯველად იმუშავა. იმ დღიდან მოყოლებული თითქმის ყველა პოზიციაზე მოუხდა საქმიანობა. იყო უფროსი გამსინჯველი, ტექნიკური მომსახურების განყოფილების უფროსი, 2004 წლიდან დღემდე სავაგონო დეპოს უფროსის მოადგილეა ექსპლუატაციის დარგში. ჰყავს მეუღლე, სამი შვილი და შვილიშვილი.

რკინიგზაში უწყვეტად მუშაობის 35 წელი დაუგროვდა. რაც გახდა წინაპირობა 2016 წლის 5 ოქტომბერს, რკინიგზელთა პროფესიულ დღეზე რკინიგზელის ჯილდო მიენიჭებინათ.

თენგიზ ფრუიძეს ჯილდო სხვა ნომინაციაშიც აქვს მიღებული, მაგრამ ის, რაც ახლა დაიმსახურა უფრო დიდია, რადგან ცოტას არ ნიშნავს 35 წელი იმუშაო რკინიგზაში და ვეტერანი რკინიგზელის წოდება მოიპოვო.

**ნინო ნანიტაშვილი**



# მეთოდისტები საბავშვო ბაღებში _ დავიწყებული ძველის სიახლე

**თეა ბაბუნაშვილი**

სკოლამდელ დაწესებულებებში მეთოდისტების დასაქმების აუცილებლობა კარგად დავიწყებული ძველის სიახლეა. საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე სკოლამდელი დაწესებულებების მიერ გამოტანილი საკითხი ბიუჯეტში ცვლილებას გულისხმობდა. იგი ძირითადად ზამთრის სეზონის დადგომასთან დაკავშირებული საჭიროებებით გახლდათ განპირობებული. გარდა ამისა, შტატების დამატების საკითხზეც ისაუბრეს. მიუხედავად იმისა, რომ მატება სახელფასო ანაზღაურებისთვის საჭირო არ გახდა, გაერთიანებას მეთოდისტის ორი შტატი დაემატა. ოპოზიციის დაინტერესებას, როგორ მოხდა, რომ დასამატებელი შტატების თანხა უკვე გათვალისწინებულია ბიუჯეტში, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების ხელმძღვანელმა, ხათუნა ახობაძემ უპასუხა: "ჩვენ ბიუჯეტის მიღებისას გავითვალისწინეთ გაუთვალისწინებელი მომენტები. საბავშვო ბაღები ცოტა არ იყოს, სპეციფიკური სფეროა. შტატის დამატება, ან თანამშრომლის ხელშეკრულებით აყვანა წლის განმავლობაში ხშირად გვიწევს ხოლმე, რაც ახალი ჯგუფების გახსნით არის განპირობებული კონტინგენტის მატების შემთხვევაში. გარდა ამისა, ჩვენთან ძალიან დარღვეულია საშტატო განრიგი, შემცირებულია და აღარ გვყავს დარაჯები, მეეზოვეები, დამლაგებლები. ამას ბიუჯეტის დაგეგმვისას ვითვალისწინებთ."

როგორც საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე გახდა ცნობილი, ამჯერად მეთოდისტის ორი შტატი დაემატა გაერთიანებას. მომავალი წლიდან კი, ყველა საბავშვო ბაღს საკუთარი მეთოდისტი ეყოლება. საბავშვო ბაღების ძველ პედაგოგებს და მმართველებს, იმ დროს გამგეები რომ ერქვათ, ეხსომებათ, რომ ყველა საბავშვო ბაღს საკუთარი მეთოდისტი ჰყავდა და პედაგოგებთან ერთად აღსაზრდელებთან მეთოდურ მუშაობას კურირებდა. როგორც შემდეგ ხათუნა ახობაძესა და მის მოადგილესთან აღმზრდელობით დარგში, ხათუნა გაგუასთან საუბრიდან გაირკვა, ეს პრაქტიკა აღსდგება. 2017 წლის 1 აპრილს უკვე დაიწყება რეფორმა, რომელიც თავიდან ბოლომდე გადაახალისებს სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობის პროცესს. თუმცა, ხათუნა ახობაძე დასძენს, რომ "ხაზგასმით აღვნიშნავ, ამგვარი დარღვევა საქართველოს მასშტაბით მხოლოდ სამტრედიაში იყო, სხვა მუნიციპალიტეტებში ყველა საბავშვო ბაღს ადგილზე ჰყავს მეთოდისტი. და არა მხოლოდ მეთოდისტი, ფსიქოლოგები და ლოგოპედებიც უხვით ბაღებში."

ერთჯგუფიან სკოლამდელ დაწესებულებებში მეთოდისტის ფუნქციას მმართველები შეითავსებენ. ამისთვის მათი გადამზადება სპეციალური ტრენინგებით უკვე მოხდა. იმ ბაგა-ბაღებში კი, სადაც რამდენიმე სააღმზრდელო ჯგუფია, პედაგოგებთან ერთად მეთოდისტები იმუშავებენ აღსაზრდელებთან, ასაკით გათვალისწინებული სააღმზრდელო პროგრამით.

ხათუნა გაგუა, გაერთიანების დირექტორის მოადგილე აღმზრდელობით დარგში, აქცენტს პირველი აპრილიდან დასაწყებ რეფორმაზე აკეთებს და აღნიშნავს: "საბავშვო ბაღებში ახალი სტანდარტების დაგეგმვა მეთოდური მუშაობის გაღრმავების წინაპირობაა. სამტრედიის სინამდვილეში მხოლოდ გაერთიანებაში იყვნენ მეთოდისტები და აქედან კურირებდნენ მათზე განპირობებულ დაწესებულებებს. ეს ცოტა არ იყოს, ართულებდა მათ მუშაობას, შრომატევადი იყო რამდენიმე ბაღში ცალ-ცალკე სიარული. ამასთანავე, ამგვარ მუშაობას ყოველდღიური წვდომა და დაკვირვება სჭირდება. რა თქმა უნდა, გაადვილდება და უფრო ნაყოფიერი გახდება სააღმზრდელო პროცესი, როცა ეს სიახლე დაინერგება."

ის მეთოდისტები, რომლებიც უკვე მუშაობენ სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებაში, ცალკეულ საბავშვო ბაღებში გადავლენ. მათ რიცხვს სულ ახლახან ორი დაემატა. უფრო სწორად, მარინა ბაღდავაძემ და მარინა ქოჩოვმა საკუთარი განცხადების საფუძველზე დატოვეს თანამდებობა. ამჯერად ისინი კვლავ დაუბრუნდნენ გაერთიანებას. ეს კი ნიშნავს, რომ მეთოდისტების დამატება აღარ იქნება საჭირო.

იგივეს ვერ ვიტყვით ლოგოპედისა და ფსიქოლოგის შტატებზე. აღსანიშნავია, რომ პროფესიონალი ლოგოპედის ნაკლებობას არა მხოლოდ სამტრედიის მუნიციპალიტეტი, დასავლეთ საქართველოს შესაბამისი დაწესებულებებიც განიცდიან. ამჯერად დასაქმებული ლოგოპედი, მომავალი წლიდან მე-4 ბაგა-ბაღში გადავა სამუშაოდ. ფსიქოლოგის შტატი საერთოდ არ არის გათვალისწინებული მუნიციპალიტეტის სკოლამდელ დაწესებულებათა საშტატო განრიგში. როგორც ხათუნა გაგუა აღნიშნავს, "ამ ეტაპზე ფინანსური საშუალება არ არის მათი დამატებისა. არადა, გამართული მუშაობისთვის ეს სპეციალისტები აუცილებლად სჭირდებათ საბავშვო ბაღებს."




მომავალი წლის 1 აპრილიდან დასაწყები რეფორმები, როგორც სპეციალისტები იმედოვნებენ, მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს აღსაზრდელებთან მუშაობის ხარისხს. პროგრამული ცვლილებები მათ ასაკზე მორგებული იქნება. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამჯერად მეთოდისტებთან ერთად სკოლამდელ დაწესებულებათა პედაგოგები საკუთარ თავზე იღებენ და წარმატებით ართმევენ თავს პროფესიული მოვალეობის შესრულებას. გაერთიანების ხელმძღვანელი ხათუნა ახობაძე ბაგა-ბაღებში ამჯერად არსებული შტატების ხელოვნურ გაბერვაზე და მათი საჭირო შტატებით ჩანაცვლებაზე აკეთებს აქცენტს. იმედოვნებენ, რომ განსახორციელებელი რეფორმა უპირველესად ამას დაარეგულირებს.

# გამოფენა-ფესტივალის მონაწილეებს სიგელები გადაეცათ





კულტურის სამინისტროს ინიციატივით მოწყობილი გამოფენა-ფესტივალი "შეხვედრა რაბათში" უთუოდ ნათელ დღედ აღიბეჭდება სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა-გალერეის მოსწავლეთა ხსოვნაში. ფუნჯები მოიმარჯვა ცამეტივე სამტრედიელმა მოსწავლემ და ფერთა უხვი პალიტრა რაბათის ციხის თემაზე სამუშაოდ გაიშალა. ფესტივალი მოსწავლეებს ასევე აძლევდა თავიანთი ნამუშევრების გამოფენის საშუალებას. იქედან დაბრუნების შემდეგ ფესტივალის მონაწილე ყველა მოსწავლეს და სამხატვრო სკოლა-გალერეის იმ პედაგოგებს, რომლებიც მოსწავლეებს თან ახლდნენ, სიგელები გადაეცათ. ისინი ასევე მიწვეულნი არიან 19 ნოემბერს თბილისის ერთ-ერთ გალერეაში.

სამხატვრო სკოლა-გალერეის დირექტორმა, ნინო ნინუამ თავად გადასცა დიპლომები ფესტივალის მონაწილე მოსწავლეებსა და პედაგოგებს, პედაგოგებთან ზაზა ღურბელეიშილთან, იაკობ ჩხიკვაძესთან, მანანა ყენიასთან და ფატი ზამთარაძესთან ერთად წარმატებული საქმიანობისათვის დიპლომი ასევე გადაეცა სამხატვრო სკოლა-გალერეის დიასახლისს, ნინო ნინუას.

ქალბატონმა ნინომ განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა საშა ლეჟავას ამ ფესტივალზე გამგზავრებაში გაწეული დახმარების გამო. ბატონი საშა საქართველოს კულტურის, სპორტის და ტურიზმის დამოუკიდებელი პროფესიული კავშირების სამტრედიის რაიონული კომიტეტის ხელმძღვანელია. "მთლიანად თუ ვერა, ნაწილობრივ მაინც დავაფინანსეთ ეს საინტერესო შემოქმედებითი აქცია, ასეთ ბავშვებს უნდა ხელი შევუწყოთ ყოველთვის, ეს ჩვენი მისიაა". _ განაცხადა "სამტრედიის მაცნესთან" საუბარში საშა ლეჟავამ.

ახალციხიდან, წყალტუბოდან, ონიდან, სამტრედიიდან, საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტიდან იყვნენ ამ ფესტივალზე სამხატვრო სკოლები, ბავშვებს ევალებოდათ ჩანახატები წარმოედგინათ რაბათის თემაზე. ბავშვებისთვის ეს დღე მართლაც დაუვიწყარი იქნება". _ გვითხრა მხატვარმა იაკობ ჩხიკვაძემ.

**ნათია ნაცვლიშვილი**

## შეცდომის გასწორება

31 ოქტომბრის "სამტრედიის მაცნეში" მე-2 გვერდზე დაბეჭდილი წერილის, "სკანდალი სკანდალის შემდეგ", ბოლოს წინა აბზაცში "ადანაშაულებდა დემურ სტურუას" ნაცვლად უნდა იკითხებოდეს "ადანაშაულებდა გოდერძი თევზაძეს".

## მადლობა!

ტოლების საბავშვო ბაღის კოლექტივისა და მშობლების სახელით, საბავშვო ბაღისთვის გაწეული დახმარებისა და გვერდით დგომისათვის ულრმესი მადლობა გვინდა გადავუხადოთ ისეთ კეთილშობილ ადამიანს, როგორიც ჩვენი სოფლის დეპუტატი, ბატონი ილო მჟავია ბრძანდება. ღმერთმა დალოცოს და გააძლიეროს სოფლის საკეთილდღეოდ.

# "მაჩუქე ღიმილი"

სამტრედიის მუნიციპალიტეტის ქუჩებში 2 ნოემბერს თეთრ მაისურებგადაცმული სხვადასხვა საჯარო სკოლების მოსწავლეები გამოჩნდნენ. ახალგაზრდებს ხელში პლაკატები ეჭირათ და მოქალაქეებს მოუწოდებდნენ, გაეღიმათ. "მაჩუქე ღიმილი" _ ასეთი სახელწოდებისა იყო ის აქცია, რომელიც START TODAY ფარგლებში პროექტის სტაჟიორებმა ჩაატარეს. მომღიმარმა სტაჟიორებმა მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაშიც შეიხედეს. ერთ-ერთი მონაწილე, თამუნა ჯინჭველეიშვილი და მისი მეგობრები "სამტრედიის მაცნეს" მთავარ რედაქტორ ქეთევან ჭელიძესაც ეწვივნენ. აქციის მონაწილენი მოქალაქეებს სურვილების ფურცლებზე დაწერასაც სთხოვდნენ. ვინაიდან იმავე დღეს სამტრედიას ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი გიორგი კეკელიძე ესტუმრა, მისგან ინტერვიუ მარიამ ჯანელიძემ აიღო. როგორც მარიამმა გვითხრა, მისი, როგორც სტაჟიორის საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულება ჟურნალისტიკაც არის. "ჩვენს ქუჩებს რომ არ აკლდეს ღიმილი, ამიტომაც მოვაწყვეთ ეს აქცია. _ გვითხრა აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ, ბარბარე მიქელთაძემ.



**ნათია ნაცვლიშვილი**



„ვინაც ლიტერატურას ქმნის"

# "დოჩანაშვილის სტრიქონების კითხვა ჩემთვის უდიდესი სიამოვნება იყო"



ნათია ნაცვლიშვილი

***ჩვენი რუბრიკის დღევანდელი სტუმარი არაორდინალურ სიტუაციაში გავიცანი. ავჭალის კოლონიაში, სადაც წლების წინ ადამიანის უფლებათა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის, ელენე თევდორაძის წყალობით მოვხვდი, ზვიად ძიძიგური უნდა ჩამეწერა. ვიდრე ეკლესიის მშენებლობის პროცესში ჩართული ჩემი რესპონდენტი ინტერვიუსთვის მოიცლიდა, იქვე, მჯდომ მის ძმას, კობა ძიძიგურს გავესაუბრე, ადამიანს, რომელიც ძმასთან და კიდევ ბევრ ადამიანთან ერთად სამშობლოს სიყვარულისათვის სასჯელს იხდიდა. ამ პოლიტპატიმრების ცალკე საკანში თვალში მოგხვდებოდათ ზვიად გამსახურდიას და სხვა ეროვნული მოღვაწეების ფოტოსურათები, ასევე, ძალიან ბევრი წიგნი. ინტერვიუც ციხის თემის გახსენებით დავიწყეთ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე კობა ძიძიგურთან.***

**_ ბატონო კობა, ამას წინათ, ლევან ბერძენიშვილმა ციხის წლები მოინატრა, მეტი დრო მქონდა წიგნის კითხვისთვისო. ციხეგამოვლილ პოლიტპატიმარს მოგნატრებიათ თუ არა ციხე იგივე თვალსაზრისით?**

_ პარადოქსია, თუმცა, ნამდვილად შეიძლება ითქვას, გარკვეული მომენტები ციხის ცხოვრებიდან მართლაც მოსანატრებელია ჩემთვის. უმეტესად სასულიერო ლიტერატურის შემეცნებაზე ვმუშაობდი. პირველად უშიშროების იზოლატორში ვიჯექი. 5 თვის განმავლობაში რთული იყო წიგნების შემოტანა, მაგრამ მაინც პოლიტიკური პატიმრები ვიყავით და მიგზავნიდა ჩემი და წიგნებს, რასაც ვითხოვდით. სხვათა შორის, იქაურ ბიბლიოთეკაში წავაწყდი წიგნს ლაო ძის "დაო დეძინი" და ვკითხულობდი უდიდესი სიამოვნებით. მერე წავაწყდი ერთი ავტორის ნაშრომს, სადაც ის ადარებდა ერთმანეთს სახარებასა და ლაო ძის მოძღვრებას. ავტორი პარალელს საინტერესოდ ავლებდა სახარებისეულ ფრაზებს და ლაო-ძის მოძღვრებას შორის და მიუთითებდა, რომ სახარება გაცილებით მაღალი სულიერების მატარებელია, ვიდრე ლაო-ძის მოძღვრება. ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ამ წიგნებმა ჩემზე. ჩემს უბის წიგნაკში ვაკეთებდი ჩანაწერებს, თუმცა, შემდეგ იქიდან გამოსვლისას ჩამომართვეს ეს ჩანაწერები. 4 წელი დავყავი ციხეში. დავამუშავე უამრავი სასულიერო ლიტერატურა. საოცრება იყო ჩემთვის ამ ყველაფრის აღქმა, გაგება, შემეცნება, დრო ბევრი გვქონდა, ვფიქრობდი, რაც იმ პერიოდში ვისწავლე, შევიმეცნე და წავიკითხე, ის მომყვება დღემდე. ხანდახან თუ გადავავლებ თვალს სასულიერო ლიტერატურას, თორემ, ძირითადად, ვერ ვიცლი, ერთ საინტერესო დეტალზე მინდა გავამახვილო ყურადღება: ეს არის სიბრძნის წყარო და სულიერი ნუგეშის უდიდესი წყარო. ყოველი გასაჭირის დროს, ვურჩევ ყველას, თუ სასულიერო ლიტერატურას მიაკითხავენ, უთუოდ იპოვნიან განსაცდელისაგან გამოსავალ გზებს. ამდენად, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩემთვის ციხეში ყოფნას ამ სასულიერო ლიტერატურის შემეცნებისა და ჩემი სულიერი განვითარებისათვის. დაახლოებით, წელიწად-ნახევარი ამ სრული კომფორტის პირობებში ვიყავი ციხეში (რა თქმა უნდა, ფიზიკური და მატერიალური კომფორტი არ მიგულისხმია), საგამოძიებო იზოლატორში. კოლონიაში ბოლო 3 წელი დავყავი. წელიწად-ნახევარი მიმდინარეობდა საქმის გამოძიება, სწორედ ამ პერიოდში ვიყავი სრული შემეცნების პერიოდში.

**_ დედათქვენი ნაზი ბზიავა იყო ძალზე წიგნიერი ქალბატონი, ისტორიკოსი, ალბათ, ეს გავლენას იქონიებდა შვილების წიგნიერებაზეც. დიდი საოჯახო ბიბლიოთეკა გქონდათ?**

_ დიდი ბიბლიოთეკა გვქონდა, სამივენი, მარინაც, ზვიადიც და მეც, სულ კლასგარეშე ლიტერატურას ვკითხულობდით. მაგიდის უჯრაში ყოველთვის კლასგარეშე წიგნები გვეწყო. ზემოთ კი სკოლის წიგნები. თუკი ოთახის კარს შემოგვიღებდნენ და მშობლები დაგვხედავდნენ, წინ გადავიხრებოდით, უჯრა თავისით იხურებოდა და მაგიდაზე წიგნები გვეწყო, დედა და მამა დარწმუნებულნი იყვნენ, რომ გაკვეთილებს ვსწავლობდით.

**_ ერთგვარი "შიდა აუდიტი" რომ აწარმოოთ, ვინ იყო თქვენს შორის ყველაზე წიგნიერი? ლიდერი?**

_ წაკითხვით სამივენი ბევრს ვკითხულობდით, მაგრამ წაკითხული მასალის გადამუშავება უმთავრესია და ვინც უფრო ნიჭიერი იყო, ის მეტად ამუშავებდა. რა თქმა უნდა, ამაში მჯობდნიდნენ ზვიადიც და ჩემი დაც. ჩემი დის გაკვალულ გზებზე მივდიოდით ჩვენ. მარინა ძიძიგურის სახელს სკოლაში ყოველთვის სიამაყით ახსენებდნენ. ყოფილა შემთხვევა, იმდენად ვიყავით წიგნების კითხვაში გართული, ღამით შუქს რომ ჩააქრობდნენ, საბნის ქვეშ ფარნით ვკითხულობდი.

**_ თქვენს თვალში კარგავენ თუ არა ფასს ის ადამიანები, რომელთა ოჯახშიც წიგნს საერთოდ ვერ მოჰკრავთ თვალს?**

_ განკითხვით არავინ განმიკითხავს. ეს ნამდვილად არ მჩვევია. ვიცი, რომ ყველას აქვს ამ ცხოვრებაში თავისი გარკვეული და განსაზღვრული ნიშა. ზოგს აქვს ამ წიგნების კითხვის ვალდებულება და ზოგს არა.

**_ ოჯახში სტუმრად გყოლიათ ზვიად გამსახურდია, ხომ არ გაქვთ მისი ნაჩუქარი წიგნი, ან ეროვნული მოძრაობის რომელიმე წარმომადგენელს, მწერალს, პოეტს ხომ არ უჩუქნია წიგნი წარწერით?**

_ ასეთს ვერ ვიხსენებ. ახლოს ვიცნობდი უამრავ ეროვნულ მოღვაწეს, თავიდანვე ილია ჭავჭავაძის საზოგადოებასთან ახლო ურთიერთობა მქონდა, მომქონდა ახალგაზრდული ლიტერატურა, ვისრუტავდი ამ ლიტერატურას, რადგან, მეც ისევე, როგორც საბჭოთა კავშირის ბევრ მოქალაქეს, საქართველო ჩვენი სამშობლო არ გვეგონა. აი ეს გავარკვიე, თურმე დამოუკიდებელი ქვეყანა ვიყავით, ეს ყველაფერი მაშინ შევიმეცნე, ჩემს ჯგუფელებს ვაცნობდი ამ ლიტერატურას, ჩამომქონდა სამტრედიაშიც.

**_ შვილებს ჩუქნით წიგნებს, კომპიუტერს რომ მოსწყვიტოთ?**

_ შვილებს დიდი საბავშვო ლიტერატურა დავუგროვე, მაგრამ ჯერ სათანადოდ ვერ აღიქვამენ, ეს კომპიუტერი ისეთია... ალბათ, ჩემს დროს მობილური ტელეფონები რომ ყოფილიყო, ვერც ჩემი თაობა წაიკითხავდა ამდენ წიგნს.

**_ საყვარელი მწერლები ვინ არიან?**

_ ჩემი სტუდენტობის პერიოდში აღმოვაჩინე შესანიშნავი მწერალი, გურამ დოჩანაშვილი, რომელიც იყო ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას თანაკლასელი, ბავშვობიდან თანამებრძოლი. შემდგომ დოჩანაშვილის სტრიქონების კითხვა იყო ჩემთვის უდიდესი სიამოვნება. ძალიან მიყვარდა გურამ გეგეშიძე, ოთარ ჭილაძე. სახლის ბიბლიოთეკა რამდენჯერმე მქონდა გადაკითხული, როგორც ქართველი, ისე უცხოელი კლასიკოსი მწერლების წიგნები გვქონდა სახლში. ახლაც მიყვარს, სამწუხაროდ, ვერ ვიცლი მათ წასაკითხად.

**_ზვიადი კარგი თამადაა, მეგობრების თქმით სადღეგრძელოების ლექსებად წარმოთქმა სჩვევია, თქვენ გიყვართ პოეზია?**

_ მიყვარს, მაგრამ სადღეგრძელოებში მაინცადამაინც ვერ ვიყენებ ლექსებს. საოცრად მიყვარს ლადო ასათიანი, ბავშვობიდან მიყვარდა ილია, ეროვნული მოძრაობიდან კიდევ მეტად შევიყვარე, აკაკი, ვაჟა, გალაკტიონი... ღვთის იმხელა წყალობა გვაქვს ქართველებს, ხშირად ვფიქრობ, რატომ გვაჯილდოვებს ქართველებს უფალი-თქო. მიუხედავად იმისა, უამრავი ცუდი თვისება გვაქვს, მაინც ვუყვარვართ ღმერთს, ამიტომ, უდიდესი მადლით და წყალობით გვავსებს.

**_ თანამედროვე მწერლების ბესტსელერებს კითხულობთ?**

_ ვერ ვახერხებ ახალგაზრდა მწერლების და პოეტების ნაწარმოების კითხვას. ამას წინათ ჩატარდა ლიტერატურული კონკურსი დამწყებ პროზაიკოსთათვის, აი მათი მოთხრობების კრებული აქ, სამუშაო მაგიდაზე მიდევს. მომეწონა, კარგი ხედვა და მიგნება აქვთ ამ ახალგაზრდებს.

**_ როგორ ფიქრობთ, წიგნს აქვს მომავალი?**

_ შეუძლებელია, წიგნი რაიმემ დაამარცხოს, მას აქვს ისეთი თავისთავადობა და სრულყოფილება, მას კომპიუტერი ვერ დაამარცხებს, უბრალოდ, ზოგ მომენტებში ხდება ყურადღების გადაქაჩვა ერთიდან მეორისკენ, ადამიანის ბუნება ასეთია, საითაც მეტია საცთური, იქითკენ მიდის გონება და ყურადღება, მაგრამ, ვიმეორებ, წიგნს ვერაფერი შეცვლის.

# „ეკვილიბრიუმის" მორიგი გახარება _ სამტრედიას

ნათია ნაცვლიშვილი

***სამტრედიაში _ წიგნების ბუდე ველოსიპედზე, ბათუმში _ წიგნის გემი, თელავში _ წიგნის კასრი... აი, ასე, სიმბოლოებით დატვირთულია ის პროექტი, რომელსაც ეროვნული ბიბლიოთეკა მეორე წელია ახორციელებს. უკვე ასობით სოფელი მოიარეს პროექტ "ეკვილიბრიუმის" ფარგლებში და საქართველო წიგნების ბუდეებით მოფინეს. ეკვილიბრიუმი იმიტომ, რომ წონასწორობა იქნეს დაცული ცენტრსა და რეგიონებს შორის, წიგნი ისევე სჭირდება და შია პერიფერიას, როგორც დედაქალაქს, მათ შორის არავითარი განსხვავება არ უნდა იყოს. ასე მიიჩნევენ პროექტის ავტორები.***





ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი, გიორგი კეკელიძე ამ მიზნით სტუმრობდა სამტრედიას. მომავლის პარკში ამიერიდან სამტრედიელთა ინტელექტის კიდევ უფრო გაზრდის მიზნით წიგნების ბუდემ დაიდო ბინა. ველოსიპედი ხომ სამტრედიასთან ასოცირდება, ამიტომაც, წიგნის ბუდე ზედ განთავსდა. წიგნის წაკითხვის ნებისმიერ მსურველს შეუძლია, ეროვნული ბიბლიოთეკის ამ სიკეთით ისარგებლოს, შეუძლია, თავადაც შეჰმატონ წიგნის ამ პატარა სახლს ახალი წიგნები.

"სამტრედიის მაცნესთან" საუბარში გიორგი კეკელიძემ აღნიშნა: "სამტრედიაში ჩამოვედით, ჩამოვიტანეთ სრულიად უნიკალური რამ, ველოსიპედი წიგნების ბუდით. ეს ჩვენი, ეროვნული ბიბლიოთეკის საჩუქარია, "სუფთა სამყაროსთან" ერთად, რომელიც ჩვენი პარტნიორია ამ საქმეში.

2 წლის ისტორია აქვს "ეკვილიბრიუმს", უამრავი ქალაქი მოვიცავით, თქვენ უნდა უპატრონოთ ამ წიგნებს.

**_ №1 საქალაქო ბიბლიოთეკის მკითხველები ელოდებიან თქვენგან დაპირებულ კომპიუტერს, როდის გაახარებთ მათ?**

_ კონკრეტულ შემომწირველთან ერთად უახლოესი 1 თვის განმავლობაში ჩამოვალთ ამ ბიბლიოთეკაში და მოვუტანთ ამ საჩუქარს".

"სუფთა სამყაროს" წარმომადგენელი, ხატია ალფაიძე:

_ დავიბადე და გავიზარდე სამტრედიაში. ამ საგანმანათლებლო პროექტს "სუფთა სამყარო" დასუფთავების კომპანიამ სიამოვნებით დაუჭირა მხარი, თითქმის მთელი საქართველოს მასშტაბით 700-ზე მეტ ობიექტს ვემსახურებით, 1500-მდე თანამშრომელი გვყავს დასაქმებული. ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოში განათლების პოპულარიზაცია, ჩვენი მხარდაჭერა იმიტომ იქნა გამოხატული, ადამიანებს მივცეთ მეტი წიგნის წაკითხვის საშუალება. ეს მშვენიერი ჩანაფიქრია, ყველა ბავშვს ეძლევა მეტი წიგნის წაკითხვის საშუალება. ვისურვებდი, ჩვენი ორგანიზაციის მსგავსად სხვებიც შეუერთდნენ ამ საინტერესო ინიციატივას და რაც შეიძლება, მეტი წიგნის მატარებელი იყოს".



ლიზა კრავეიშვილი, სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე:

_ ჩემი ასაკის ადამიანი, ალბათ, მსგავს სიახლეს ვერ მოიფიქრებდა, ეს ძალიან კრეატიული იდეაა, მომწონს, ახალგაზრდებმა უნდა გამოიყენონ წიგნი მიზნობრივად, მოექცნენ სათუთად, თავაზიანად, ასეთი პროექტი სამტრედიაში ბევრი უნდა განხორციელდეს, რაც სიკეთეს მოუტანს ჩვენს ახალგაზრდობას.

ნატალია მანჯგალაძე, განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი: "მივესალმები ყველა სიახლეს, ამ პროექტის განხორციელებასაც კულტურის სამსახური გვერდით დაუდგა, სასიხარულოა, რომ ჩვენთანაც გაიხსნა წიგნის ბუდე, ნებისმიერ მსურველს შეუძლია, ამ ლიტერატურით დაინტერესდეს. ეს წიგნის კარი მუდამ ღია იქნება. სასურველია, სამტრედია ამ სიახლეს ღირსეულად შეხვდეს, იმედს ვიტოვებ, ეს წიგნის ბუდე იმუშავებს ისე, როგორც სამტრედიას ეკადრება".

ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა ბიბლიოთეკაში მიიპატიჟეს. გიორგი კეკელიძეს მეგზურობა ბიბლიოთეკის დირექტორმა ლამარა დუნდუამ გაუწია, სტუმარმა დაათვალიერა წიგნსაცავი, დარბაზი და კმაყოფილი დარჩა. ის სამტრედიელებს უახლოეს პერიოდში საინტერესო პროექტის ფარგლებში კიდევ სტუმრობას დაჰპირდა.

"ძალიან კმაყოფილი ვარ, კარგი სიახლე დაინერგა, ჩვენ, ბიბლიოთეკის მუშაკები ახალგაზრდების აღზრდის საქმეს ვემსახურებით, თუ მსგავსი სიახლეები დაიგეგმება, თანამოაზრენი, თანამონაწილენი და გვერდით მდგომნი ვიქნებით. ახლახან გამოცემული წიგნი "თეატრალური სამტრედია" ჩვენს სტუმარს მივაწოდეთ და ძალიან კმაყოფილი დარჩა". _ განუცხადა "სამტრედიის მაცნეს" მუნიციპალიტეტის ბიბლოთეკის დირექტორმა ლამარა დუნდუამ.

# 22 წლის კუკარაჩა დღესაც გვმოძღვრავს

ნათია ნაცვლიშვილი



ნოდარ დუმბაძე, მწერალი, რომელიც ერის სევდას, სიხარულს და იუმორს ერთად განასახიერებს. მისი უკვდავი კუკარაჩა. გმირი, რომელიც ყველა მკითხველის ხსოვნაში 22 წლის თვალებანთებულ, უსამართლობასთან შეურიგალ ჭაბუკად რჩება და "50-ს გადაცილებულებს", როგორც მწერალი ამბობს, კვლავ ჭკუასასწავლის. "კუკარაჩადან" ფრაზები, ცხოვრებისეული სირთულეების ჟამს გვახსენდებიან.

მე-2 საჯარო სკოლაში (დირექტორი თეა კარტოზია) მე-8 კლასელთა სასკო-



ლო სპექტაკლს ვესწრებით. ხელოვნების პედაგოგმა, მარინა ფხაკაძემ უკვე მეორედ დადგა სკოლის სცენაზე ეს წარმოდგენა. მეორე, განახლებული ვერსიისკენ პედაგოგს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივამ უბიძგა ქართული ლიტერატურის თეატრალური ფესტივალის შესახებ. ამ ფესტივალის ფარგლებში სამინისტრო საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს სთავაზობს ლიტერატურული ნაწარმოებების მიხედვით სასკოლო სპექტაკლების მომზადებას. იდეის ავტორთა თქმით, ფესტივალის მიზანი ქართული თანამედროვე და კლასიკური ლიტერატურის პოპულარიზაცია და მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების გამოვლენა-განვითარებაა. სასკოლო სპექტაკლებს საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის ბრძანებით შექმნილი ჟიური შეაფასებს. მუნიციპალიტეტის დონეზე შერჩეული 2 საუკეთესო სპექტაკ-



ლის ვიდეო-ჩანაწერი DVD დისკის სახით სამინისტროს გაეგზავნება. I, II და III ადგილებზე გასული გამარჯვებულნი გამოვლინდებიან და სოლიდური პრიზებით დასაჩუქრდებიან...

სპექტაკლის ყველა გმირი მე-8 კლასელია, მარიამ სხილაძის გარდა, რომელიც მე-12 კლასელია და ქალბატონი ანიკოს როლს თამაშობს. მაყურებელმა მარიამის შესანიშნავი გარდასახვა იხილა, მეტიც, სპექტაკლზე სტუმრად მოწვეულმა და მისი თამაშით მოხიბლულმა რეჟისორმა ქალბატონმა ლორიტა ჯორჯიკიამ ის საბავშვო თეატრში მიიწვია. კუკარაჩა, იგივე გოგი თუშურაშვილი სხარტი, სიცოცხლით სავსე, ნიჭიერი საბა ართქმელაძეა. ინგას უაღრესად დრამატულ სასცენო როლს კარგად ასრულებს მარიამ ნასარეია. ეტყობა იურისტის შვილი რომ არის, განსაკუთრებული აკურატულობით მოკიდებია საქმეს, თავდაჯერებული სამართალდამცავი დაინახა მაყურებელმა მილიციის უფროს მაიორში დავით საბაშვილში, იგივე შალვა კოხრეიძეში. მოუხელთებელი მურტალო _ ანრი ძაგნიძეა. სპექტაკლის წამყვანები თემურ გერაძე და ლუკა სანიკიძე არიან. ასევე კარგად დაამახსოვრეს თავი მაყურებლებს ეპიზოდურ როლებში მოსამართლეებმა _ ნინი ესაკიამ, დამცველებმა _ ნათია თარგამაძემ და მანანა მუქერიამ. ინგას დაქალებმა _ ლანა ორმოცაძემ, ნინო ზამბახიძემ, ქალბატონი ანიკოს შვილი კი აკაკი კვიჟინაძეა. მოსწავლეებმა მართლაც შესძლეს ამ უკვდავი ნაწარმოების არსებითად, სიღრმისეულად შემეცნება, გაგება, ისინი შინაგანი განცდით წარმოთქვამდნენ ფრაზებს, "სიყვარულისთვის ვის იჭერენ შე დალოცვილო! სიყვარული სულში შედის ქალბატონო ანიკო?" "ცოდვაა ის კაცი, ვინც ამ დიდი ნიჭის გარეშე წავა ამ ქვეყნიდან"... ფინალური სცენის შემდეგ არაერთი მაყურებლის თვალზე ცრემლი აკიაფდა.

"შემატყვეთ, ვიტირე, მადლობა მინდა ვუთხრა სკოლის ხელმძღვანელობას, პედაგოგებს ამ საუკეთესო წამოწყებისათვის. ეს ყველა სკოლისთვის მისაბაძია. ახალგაზრდები დაუბრუნდებიან თეატრს, მიხარია, რომ დუმბაძით დაიწყეს, ეს არის ქართული კლასიკა, შეუდარებელია ეს მწერალი, მიუხედავად იმისა, მაქვს რუსული განათლება, დუმბაძე ჩემთვის ყველაფერია. სცენარი ქალბატონ მარინას ძალიან კომპაქტურად, კარგად აქვს ჩამოყალიბებული. ძალიან მომეწონა ინგას როლის შემსრულებელი, შესანიშნავი ბავშვები არიან, ყველაზე მთავარი ისაა, ბავშვი გაიხსნა მაყურებელთან, სცენაზე დავბერდი და დღესაც ყოველი სცენაზე გასვლისას გული მიკანკალებს, ეს შიში ბავშვებმა დაძლიეს, ძალიან მომეწონა "ქალბატონი ანიკო", ძალიან სცენიური გოგონაა, გული მწყდება ჩემს სპექტაკლში "მე ვხედავ მზეში" ეს გოგონა არ მყავდა, ალბათ რამდენიმე ამ ბავშვს ჩემთან წავიყვან. დღევანდელ დღეს ძალიან დიდი ნაბიჯი გადაიდგა, მაყურებელი უნდა დაგვიბრუნდეს თეატრში, ყველა სკოლამ უნდა გადადგას იგივე ნაბიჯები". _ განგვიცხადა სპექტაკლის შემდეგ ლორიტა ჯორჯიკიამ.

ფილოლოგი ლია კილაძე მე-8 კლასის დამრიგებელია, ის მშობლის როლშიც გულშემატკივრობდა თავის კლასს:

"რა თქმა უნდა, ამ ბავშვებს ბევრი რამ მისცა ამ სპექტაკლმა, იგი მათი პიროვნების ფორმირებას უთუოდ ხელს შეუწყობს. აქ არის სათნოება, ურთიერთშენდობა... დამნაშავის პატიების გრძნობამ, შეიძლება კუკარაჩა ფიზიკურად დალუპა, მაგრამ მორალურად მაინც გა-



იმარჯვა მან. 1 თვის განმავლობაში იმუშავეს, მოახერხა პედაგოგმა დიდი ძალისხმევით კარგი შედეგის მიღწევა".

საგანმანათლებლო რესუსრცენტრის მთავარი სპეციალისტი, პედაგოგი ალექსანდრე თევზაძე:

"განათლების და მეცნიერების სამინისტროს კონკურსს მოჰყვა გამოხმაურება, ეს სასიამოვნოა, ჩემი პირველი შთაბეჭდილება კარგია, რესურსცენტრში შექმნილი კომისია განიხილავს დივიდი დისკის სახით წარმოდგენილ სპექტაკლებს, მოწონების შემთხვევაში შემდგომ ეტაპზე დედაქალაქში გასაგზავნად მისცემს რეკომენდაციას. მოხარული ვარ, რომ განათლების და მეცნიერების სამინისტროს ბევრ კონკურსში ღებულობენ ეს მოსწავლეები მონაწილეობას. ვუსურვებ მათ წარმატებებს".



## ასი ათასი მოწამის ხსენების დღეს გილოცავთ!

საქართველოს ეკლესიას მოწამეთა ეკლესიას უწოდებენ... ქართველი ერი ოდითგანვე ატარებს დაფარულ და ქვეცნობიერ სიყვარულს უფლისადმი.

ამ პატარა საქართველოს გადავუღერეთ მკერდი და ამ მკერდზედ, როგორც კლდეზედ, დავუდგით ქრისტიანობას საყდარი. "რა მტერი არ მოგვსევია, რა ვაი-ვაგლახი, რა ღრჭენა კბილთა, რა სისხლის ღვრა, რა წისქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩვენს თავზე, მაგრამ ყველას გავუძელით და ამ მუჭა ერმა ქრისტიანობა შევინარჩუნეთ, არ გავაქრეთ ამ ქვეყანაში, რომელსაც ჩვენს სამშობლოს, ჩვენ სამართლიანი თავმომწონებით ვეძახით".

რაოდენ დიდია ქართველი ადამიანის სიყვარული უფლისადმი, რომ არა არცერთი გამოხატულება ამ უდავო სიყვარულისა, მხოლოდ ასი ათასი მოწამის ისტორია კმარა ამის დასამტკიცებლად.

ყოველი წელიწადის 13 ნოემბერს მეტეხის ხიდიდან ყვავილები აწვიმს მტკვარს. რვა საუკუნის წინ კი, სწორედ ამ ადგილას, ასი ათასი მოწამის სული ჩაუქრობელ სანთლად აენთო ყოვლადსახიერი უფლის წინაშე საუკუნო განსასვენებელში.

მსოფლიო ისტორიას არ ახსოვს ერთდროულად ამდენი ადამიანი, რომ ეწამებინათ.

1226 წელს უსასტიკესმა დამპყრობელმა, ჯალალ-ად-დინმა საქართველოში ილაშქრა ერთმანეთს 200 ათასი მუსლიმანი და 60 ათასი ქრისტიანი დაუპირისპირდა. პირველივე შეტაკებაზე მოვიპოვეთ უპირატესობა, მაგრამ, საუბედუროდ, ციხე კვლავ შიგნიდან გატყდა, კვლავ ღალატმა იჩინა თავი, მოღალატეებმა ღამით გაუღეს მტრებს ქალაქის კარი და დამპყრობელთა ლაშქარი უბრძოლველად შემოიჭრა ქალაქში. ჟამთააღმწერელი გადმოგვცემს, თუ რა სისასტიკე გამოიჩინა მტერმა, როგორ უსწორდებოდნენ ქართველებს: "ჩვილნიცა ძუძუთაგან დედისათა აღიტაცნიან და წინაშე დედისა ქვაზე დაანარცხიან და რომელსამე ტვინი დაენთხიეს". გორებად ეყარნენ დახოცილები, მტკვარი კი წითლად შეიღება.

ქრისტიანთ სისხლმოწყურებულმა ჯალალ-ად-დინმა ესეც არ აკმარა, სიონის ტაძარს გუმბათი მოარღვევინა და ზედ თავისი ტახტი დაადგმევინა. ხვარაზმელთა სულთანმა სიონის ტაძრიდან ხატები გამოაბრძანებინა და მეტეხის ხიდზე დაასვენებინა ქართველებს კი უბრძანა: "დათრგუნვა პატიოსანთა ხატთა და დატევება სჯულისა", ხოლო ვინც არ აღასრულებდა მის ბრძანებას თავის მოკვეთა ელოდა. კარგად უწყოდა ურჯულო მტერმა, რომ ქართველთა ძალა ქრისტიანობაში იყო, ამიტომ განიზრახა, სიკვდილით დასჯის შიშით უარეყოფინა მათთვის ჭეშმარიტი სარწმუნოება.

აი, სწორედ მაშინ გამოჩნდა ქართველთა განუზომელი სიყვარული უფლისადმი, სწორედ მაშინ მოეგო ქართველნი გონს და უფლის სიყვარულით გულანთებულმა ურყევი რწმენის მაგალითი მისცა მთელს კაცობრიობას. ამ დღეს 100 ათასზე მეტი ქრისტიანის გვამი გაატანეს მტკვარს და ამ დღიდან ჩვენს ერს უფლის წინაშე 100 ათასი მეოხი შეემატა. ყოველი წლის 13 ნოემბერს ყვავილებით შემკული ჯვარი ჩაესვენება მტკვარში წმინდანთა ხსენების აღსანიშნავად.

იმ დროს იმდენად დიდი იყო რწმენა, რომ ბავშვებიც კი ქუჩაში გამორბოდნენ და ყვიროდნენ. "მე ქრისტიანი ვარ!" აი, სწორედ ეს გამეორდა მეტეხის ხიდზე ჯალალ-ად-დინის დროს. ეს იყო ზეიმი სულისა!

ამიერიდან ასი ათასი წამებული ზეციურ წმინდანთა ლაშქარს შეუერთდა. დღის მფარველი წმინდანების ლოცვითა და მეოხებით უფალმა დაიცვას და გააძლიეროს საქართველო, ამინ!

ვახტანგ ნიკოლეიშვილი

## ფოტო ისტორიას ჰყვება

თითქმის საუკუნე-ნახევრიანი ისტორიის მქონე სამტრედიას სახელოვანი თეატრალური წარსული აქვს, რაშიც განუზომელია რკინიგზელთა სახალხო თეატრის მსახიობთა წვლილი.

სურათზე, რომელიც 1983 წელს ჩვენი გაზეთის ფოტოკორესპონდენტის **რომან ბექაიას** მიერაა გადაღებული, აღბეჭდილია რკინიგზელთა სახალხო თეატრის მიერ განხორციელებული აკაკი დევიძის ორმოქმედებიანი ვოდევილის "ცოლი ხუთი წუთით" ერთ-ერთი სცენა.

***მარცხნიდან მსახიობები: ჯემალ შეწირული, ბადრი ჯანჯალია, ნანა გედეხაური და ზვიად ვაშაკიძე.***



ლევან გაბეჩავა

# ქართველები კაცობრიობის

მსოფლიომ და რაც ესოდენ სამწუხაროა, თვით ქართველთა დიდმა უმრავლესობამ არ იცის საქართველოს ჭეშმარიტი ისტორია, რამეთუ იგი სრულად ჯერ კიდევ არ არის დაწერილი.

შესასწავლია ქართველური ენები, მსოფლიოს სხვადასხვა არქივებსა და მუზეუმებში არსებული წერილობითი ძეგლები, სხვადასხვა ქვეყნის ტაძრებზე გამოქვაბულებსა თუ კლდეებზე ამოტვიფრული ხელნაწერები, სადაც მრავლადაა შემორჩენილი ქართველთა წინაპრების მაღალი კულტურის ნაკვალევი.

მსოფლიოს არაერთი მეცნიერი კარგა ხანია ამტკიცებს, რომ ქართველები არის ის ხალხი, რომლებიც იდგნენ კაცობრიობის ცივილიზაციის სათავეებთან და საფუძველს უყრიდნენ ადამიანთა კულტურას.

“იმიტომ შევნატრი წარსულს, იმიტომ ვაწუხებ წინაპართა სულებს”, რომ სურვილი მაქვს ვაუწყო ფართო საზოგადოებას, რომ დღეს უკვე დაკნინებული, გაქრობადი ერების ხუთეულში შეყვანილი ქართველობა იმ ხალხის მემკვიდრენი არიან, რომლებმაც ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს კაცობრიობის ცივილიზაციის საგანძურში, რომ მათი სამშობლო, რომლის შესახებ მითებსა და ლეგენდებს თხზავდნენ ძველი ბერძნები, მოიცავდა თანამედროვე ერაყის, ქიმეთის, სუდანის, პირინეის, აპანინის, ხმელთაშუა ზღვის, ეგეოსის კუნძულებსა და ტერიტორიებს. ქართველები დღესაც ცხოვრობენ და მათმა ერთმა ნაწილმა შეინარჩუნა მშობლიური ენა იაპონიაში, ჩრდილოეთ აფრიკის რიგ ქვეყნებში, ინდოეთში, ამერიკის კონტინენტზე და ა. შ.

ბატონი ზვიად გამსახურდია თავის ცნობილ ქმნილებაში “ქართველი ერის სულიერი მისია” ბრძანებს: “ეგეოსის ზღვის კუნძულების და საერთოდ მედიტერიანული სივრცის ავტოქტონური მოსახლეობა იბერიული იყო და მათი საერთო კრებითი სახელია პროტოიბერია”.

უკვე არავინ დავობს იმის შესახებ, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთი და ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთი კოლხეთს ეკავა. უფრო მეტიც, როგორც აწ გარდაცვლილი მეცნიერი კლიმენტი შელია თავის წიგნში “კოლხეთი კაცობრიობის ცივილიზაციის კარიბჭე” მოგვითხრობს: “1921 წლამდე ქ. სოჭის მუზეუმში ინახებოდა რუკა, რომელზედაც ტუაფსედან ვოლგამდე და შემდეგ ინდოეთამდე ტერიტორიები “მეგრელიად” იწოდებოდა და კოლხეთის სახელმწიფოში შედიოდა. სპარსეთის ყურეს კი მეგრელთა ყურე ერქვა. არაერთი სპეციალისტის აზრით ან-ზე დაბოლოებული დასახელებები და ქალაქები, მათ შორის ყაზანი, რიაზანი და სხვა მეგრული წარმოშობისაა.

კაცობრიობის ცივილიზაციის აკვნად მიჩნეული შუა მდინარეთის (მესოპოტამიის) ტერიტორიაზე, მდ. ევფრატის ქვემო წელში, IV ათასწლეულის ბოლოს მდებარეობდა ქალაქი (ქალაქ-სახელმწიფო) კულხა, რომლის დამაარსებელი იყო მეფე ანმარე (ღვთის კაცი).

ცნობილი მეცნიერი მ. წერეთელი მიიჩნევს, რომ კაცობრიობის ცივილიზაციის ფუძემდებლად აღიარებული შუმერები იგივე ქართველებია. რაც შეეხება ამ ხალხის სახელს “შუმერს”, იგი პირობითია. მათ ეს სახელი უბოძა დიდმა მეცნიერმა, ავტორმა წიგნისა “ისტორია იწყება შუმერიდან”, სამუელ კრამერმა.

შუმერთა მიმართ გულგრილი არც იოსებ სტალინი იყო. ბელადმა, ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დროს, მასთან მიწვეულ ქართველ მეცნიერებს დაავალა, რომ შეექმნათ მეცნიერ-მკვლევართა სპეციალური ჯგუფი, რომელიც იმუშავებდა შუმერებისა და ქართველების ნათესაობისა და შესაძლო იდენტურობის დასადგენად. მალე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიქმნა მეცნიერთა ჯგუფი, რომელიც წარმატებით შეუდგა საქმიანობას. სამწუხაროდ, სტალინის გარდაცვალების შემდეგ ამ მიმართებით მუშაობა შენელდა.

საოცარი ხალხი იყვნენ შუმერები. მათ ჯერ კიდევ 45 საუკუნის წინ შექმნეს მზის სისტემის სქემა. იცოდნენ მზის სისტემის 12 პლანეტის არსებობა. მაშინ როდესაც თანამედროვე მეცნიერებამ მხოლოდ 9 ასეთი პლანეტა იცის. შუმერებმა იმთავითვე დაადგინეს, რომ დედამიწა ბრუნავს მზის გარშემო. ასევე გაიანგარიშეს ერთი ბრუნვის ხანგრძლივობა, რაც თანამედროვე მეცნიერული გათვლებისაგან უმნიშვნელოდ განსხვავდება. და ეს ყოველივე იყო 45 საუკუნის წინ. ხოლო ცივილიზებულ ევროპაში 4 საუკუნის წინ, მხოლოდ იმის თქმისთვის, რომ დედამიწა ბრუნავს, ადამიანებს კოცონზე წვავდნენ (გავიხსენოთ ჯორდანო ბრუნო, გალილეო გალილეი, კოპერნიკი...).

მეცნიერთა ერთი ნაწილი შუმერებს ქალდეველებად მიიჩნევს. აქაც საქმე გვაქვს ქართულ ფენომენთან, რამეთუ მკვლევართა დიდი ნაწილის აზრით ქალდეველები და ქართველები ერთი და იგივე ხალხია. რუსი მეცნიერი ი. მეშჩანინოვი შესაბამისი კვლევის საფუძველზე ასკვნის, რომ: “ქალდეური და ქართული ენის ნათესაობა აშკარაა”. ვატიკანელი მკვლევარის სარჰარდ ჯამოს აზრით: შუმერები, აქადელები, ქალდეველები, არამეელები, ასირიელები მესოპოტამიის ხალხთა ტომობრივი სახელებია, რასაც გლობალურად და ყოვლისმომცველად ასახავს სახელწოდება – ქალდეველი”.

მეცნიერები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ, როგორც მედიტერიანული, ასევე, აპენინის, პირინეის ნახევარკუნძულების, ბრიტანეთის კუნძულების უძველესი მოსახლეობა პროტოიბერიულია.

ამ სფეროს დიდი მკვლევარი, ცნობილი გერმანელი მეცნიერი ვ. ჰუმბოლტი ამბობს: “სამხრეთ ევროპის – პირინეების, იტალიის, ხმელთაშუა ზღვის კუნძულების პირველი ავტოქტონური მოსახლეობა იყო იბერიული, კიდევ უფრო შორს მიდის ფრანგი მეცნიერი ე. დემოლინსი, რომელიც ხაზგასმით აღნიშნავს: “ეგეოსიდან თუ ზევით ავიწევით, ვხედავთ სამხრეთ გერმანიას, საფრანგეთს... ეს ადგილები ადრე იბერებს ეკავათ. მათი კვალი შემონახულია გერმანულ და ფრანგულ ენებში. ამასვე მოწმობს აქაური ადგილებისა და მდინარეების სახელები”.

პროტოქართველებად, ანუ პროტოიბერებად, იგივე ბანანურ ენაზე მოლაპარაკე ხალხად მიიჩნევიან: შუმერები, ხათები, ხურიტები, ქაშკები, დაიანები, ტიბარენები, ნაირურატურს მცხოვრებნი, კავკასიის ალბანელები და თვით კოლხეთ-იბერიის ძირითადი მოსახლეობა.

დიდია ქართული გენის დამსახურება პირველი სახელმწიფოებრივი გაერთიანებების, ქალაქ-სახელმწიფოთა შექმნაში. პროტოქართველების შექმნილია: ერედუ, ბათდიბირა, სიფარი, შურუფაქი და სხვა სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები. უკანასკნელი დროის მეცნიერული გამოკვლევების თანახმად ქართველთა წინაპრების მიერაა შექმნილი ჩვენს წელთაღრიცხვამდელი შუა მდინარეთი ყველა საკაცობრიო მნიშვნელობის მიღწევა, დაწყებული ბორბლის გამოგონებიდან, დამთავრებული ბაბილონის გოდოლით. ქართული წარმოშობისაა ლეგენდარული გმირებისა და დიდებულ არქიტექტურულ ნაგებობათა დასახელებები, შუა მდინარეთისა და მიმდებარე ქვეყნების, ქალაქების, მთების, მდინარეების, არხების სახელწოდებები. ქართულია თვით ბერძნული პანთეონის ღმერთები (ჰერა, ვესტა, თემიდა, ნერეი და სხვა.).

არის მყარი აზრი, რომ ყველა ამ დასახელებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხი ერთ ენაზე ლაპარაკობდა და ეს ენა იყო ქართული. სახელგანთქმული მეცნიერი ნიკო მარის აზრით: “პროტო – ქართული ენა არის ერთიანი, გლოტაგონური ფენომენი, რომელიც საფუძველია ყველა ენისა”.

წარმავალია სოფელი. სამწუხაროდ, ისტორიამ ვერ შემოგვინახა ქართველთა მრავალი სასიქადულო საქმე და მიღწევა, მაგრამ ვერავითარი ძალა ვერ წაშლის ქართველთ ნატერფალს, მათ წვლილს ზოგადსაკაცობრიო საგანძურში.

მეცნიერები დიდი ხანია ბჭობენ, თუ ვინ იყვნენ კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი უძველესი ცივილიზაციის შემოქმედი ხალხი პელაზგები – ჯერ კიდევ ბოლომდე შეუსწავლელი გასაოცარი ხალხი, რომელთაც III-II ათასწლეულებში ეკავათ ეგეოსის ზღვისა და მიმდებარე ხმელთაშუა ზღვის კუნძულები. კულტურა ხალხისა, რომელიც ასაკით თანატოლია შუმერულისა და ეგვიპტურისა, ჰეგემონი იყო ეგეოსისა და მედიტერიანული სივრცისა, საფუძველი შეიქმნა ბერძნული ცივილიზაციისა.

ძვ. წ. III ათასწლეულიდან პელაზგები ფლობდნენ ბალკანეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილს, ეგეოსის ზღვის კუნძულებს, კრეტას... 20 საუკუნის წინ, ყველა დროის უდიდესი გეოგრაფი სტრაბონი ამბობდა: “პელაზგები წარმოადგენენ უძველეს, ყველა ტომის მამამთავარ ხალხს, რომლებიც ურყევად და განკერძოებით დგანან”. ანტიკური ხანის ცნობილი ისტორიკოსის პლუტარქეს თქმით კი : “პელაზგებს მთელი მსოფლიო ჰქონდათ დაპყრობილი”.

ქართველებისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია ის, რომ უკანასკნელ ხანებში გამოიკვეთა პელაზგებისა და ქართველების იდენტურობა, რასაც ადასტურებს შესაბამისი ისტორიული წყაროები. კარგა ხანია, სპეციალისტთა ყურადღება მიიპყრო ცნობილი ავსტრიელი მკვლევარის ჰერბერტ ძებიშის კვლევებმა. თავის გახმაურებულ წიგნებში: “იბერული – ღმერთების ენა”, “პელაზგურ-იბერული ენა”, “პელაზგების ისტორია და კულტურა”, ჰ. ძებიში ამტკიცებს, რომ წინაბერძნული მოსახლეობის ენა, რომელიც პელაზგური იყო, “ქართველური ენების დედაა”. 1988 წელს კი მანვე ბუდაპეშტის საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესზე ცალსახად განაცხადა: “ფესტოსის დისკოს” წარწერის ენა პროტოქართული – კოლხურია”.

“ფესტოსის დისკო”, რომელიც წარმოადგენს 16 სმ დიამეტრის, 380 გრ-

# ისევ მოღელავს გალაქტიონი...



2008 წლის 17 ნოემბერი.

სამტრედიის ხელოვნებისა და კულტურის მოღვაწენი, ჟურნალისტები ხელისუფლების წარმომადგენლები ვანს, სოფელ ჭყვიშს ვეწვიეთ.

გალაკტიონობას ზეიმობდა ჭყვიში, ვანი, საქართველო.

იყო ლექსის ზეიმი და ქართველ პოეტთა მეფეც მეფურად ლექსით მასპინძლობდა საქართველოს ამერ-იმერიდან ჩამოსულ მისი ნიჭის თაყვანისმცემლებს.

თუმცა, განა მარტო ლექსით?

გრძელი სუფრაც გაშლილიყო და სადღეგრძელოებიც ერთმანეთის მიყოლებით ისმებოდა, მწვადიც შიშხინებდა და ხაჭაპურიც ცხვებოდა, ერთი სიტყვით, ზეიმობდა ჭყვიში.

სუფრასთან კი მთავარი მასპინძელი გალაკტიონის ძმისშვილი, ჟურნალისტთა მრავალი თაობის აღმზრდელი, პროფესორი ნოდარ ტაბიძე გახლდათ.

ჩვეული გულწრფელობით, სითბოთი, სიყვარულით საუბრობდა ბატონი ნოდარი გალაკტიონზე, ქართულ ლიტერატურაზე, მწერლობაზე, ჟურნალისტიკაზე.

არაერთ საინტერესო პიროვნებასთან გვარგუნა ბედმა შეხვედრა იმ დღეს, მრავალი საინტერესო ამბავი შევიტყვეთ პოეტთა მეფის პირად ცხოვრებას რომ უკავშირდებოდა.

85 წლის მოხუცის იმ დღევანდელი ნაამბობი ახმიანდა გონებაში ომი ახალი დამთავრებული ყოფილა, პოეტი დედაქალაქიდან ჩამოსულა, ეზოში რომ შესულა, ერთგული ძაღლი არ შეგებებია კუდის ქიცინით, შეუტყვია ძაღლის სიკვდილი, ისე განუცდია თურმე პოეტს, ხმამაღალ მოთქმას მოჰყოლია, რაც ჭალაში მომუშავე მეზობლებსაც გაუგონიათ.

საოცრად უბრალო, თბილი, მოსიყვარულე კაცი იყო გალაკტიონიო, ჰყვებოდა მოხუცი.

ნასიამოვნები, შთაბეჭდილებებით დახუნძლულები დავბრუნდით იმ დღეს ვანიდან.

მე და ვანელებმა კი არა, დღეს თქვენ თავად გალაკტიონმა გიმასპინძლათ, დღეს გალაკტიონია მასპინძელი. – დაგვემშვიდობა ბატონი ნოდარ ტაბიძე.

17 ნოემბერი გალაკტიონ ტაბიძის დაბადების დღეა!

პოეტის რამდენიმე ლექსს ვთავაზობთ მკითხველს.

**რა დროს რომანსეროა**

გაცრეცილ და მტვრიან ცას სინათლე კლებია,
ყვავილებზე მღერიან... რა დროს ყვავილებია?
ცაზე ვხედავ წეროებს, თითქოს მწკრივი ღეროა,
მღერენ რომანსეროებს, რა დროს რომანსეროა?
წყარო ხევში ვალალებს, გაქრა გიჟი ოცნება,
ვკოცნი მე შენ დალალებს, მაგრამ რა მეკოცნება.

**ყორნის ცრემლები**

ყორანს ცრემლით უმძიმს უპე, – როგორც შავი ყვავილი;
დავიღუპე, დავიღუპე, – ისმის მისი ჩხავილი.
ნისლი, წვიმა თრთიან გარეთ უბინაო ბავშვები.
მეცოდება ვიღაც მწარედ, ვიღაც ხელგანაშვები.

***

შარშან ჩვენი სახლის წინ იდგა ოთხი აფთარი,
გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი.
საშინელი რამ იყო კარზე მათი მოდგომა,
გაზაფხული, ზაფხული, ზამთარი, შემოდგომა.
ო, ეს წელი გულს გლეჯდა, როგორც მიწას აფთარი,
გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი.
მათ გზა ჰქონდათ ლხენისა და მეკი – დაზაფრული,
ზამთარი, შემოდგომა, ზაფხული, გაზაფხული.

საოცარი ხალხი ვართ ქართველები...

ბრძენი,

შორსმხედველნი,

მართალი... შიგა და შიგ ბოღმა-ღვარძლიც გვახასიათებს, დიდი კონსტანტინესი არ იყოს, დიდი კაცი თუ გამოგვერია...

მაგრამ, საბედნიეროდ, დაფასებაც ვიცით,

ნიჭის,

ინტელექტის.

მაგალითები?

რამდენიც გნებავთ.

მორჭმით განაგებდა ქვეყანას თითქმის 40 წელი მეფე დავითი და აღმაშენებელი უწოდა ხალხმა, მარად უჭკნობი, მანამ გაუგონარი ზედწოდება.

თამარ შვიდმნათობარი, კავკასიის სემირამიდა – ასე დაივანა ისტორიაში მეფე თამარმა.

პოეტები?

საქართველოს ბულბული ვუწოდეთ აკაკი წერეთელს.

დამსახურებულად ვარგუნეთ ერის მამის ტიტული ილია ჭავჭავაძეს და წმინდანადაც შევრაცხეთ იგი.

გალაკტიონს კი, გალაკტიონს სამართლიანად ვუწოდეთ პოეტთა მეფე, მეფე – პოეტი!

რა უნდა ვთქვათ უფრო მეტი,

უფრო მნიშვნელოვანი,

უფრო ამაღლებული.

122 წელი სრულდება 17 ნოემბერს გალაკტიონ ტაბიძის დაბადებიდან.

**ლევან გაბრიჩავა**

***მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის ტაძრის წინამძღვარი ათანასე (რუხაძე) და მრევლი ხონი-სამტრედიის ეპარქიის მმართველს, მიტროპოლიტ მეუფე საბას ვულოცავთ მღვდელმთავრად კურთხევისა და ეპარქიის აღდგენის 20 წლის იუბილეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დაუღალავ ენერგიას და მრევლთა სიმრავლეს.***

როცა უფალმა გამოგარჩია
და შეგიყვარა ბიჭი,
უხვად მოგმადლა ღვთის სიყვარული
და დაგანათლა ნიჭი.
საფარისაკენ მიმავალს რწმენით
ბევრი გინახავს ჭირი,
არ შეუშინდი ღმერთი გფარავდა
უკვე იყავი გმირი.
ოცი წელია რაც ჩაგაბარეს
თქვენ ეპარქია ჩვენი,
ბევრი გაზარდე, დააფრთიანე
ღვთის მსახური და მღვდელი.
ტაძრების მშენებლობაში
ვერ შეგედრება ვერავინ
გამოირჩევით საქმეში
თქვენი ნიჭით და გონებით.
მინდა რომ კვლავაც აშენო,
და ეპარქია ამშვენო.
ღმერთის წყალობა თქვენს სამწყსოს
არ მოჰკლებოდეს არასდროს.
დიდხანს იცოცხლე მეუფევ
არ დაგეღალოთ მარჯვენი,
აშენეთ, კვლავაც ამშვენეთ
მტრედით ნათლული ქალაქი.

*მომიტევე მეუფევ ჩემი გამბედაობა.*

**დალი ლამბაშიძე-შენგელია**
**ფერისცვალების სახელობის**
**ტაძრის მრევლი**

სამტრედიის მაცნე



# ცივილიზაციის კარიბჭესთან

ამიან თიხის ფირფიტას, 1908 წელს კუნძულ კრეტაზე, საარქეოლოგო ქ. ფესტოში აღმოაჩინა იტალიელმა არქეოლოგმა ლუიჯი პერნიემ. ''ფესტოსის დისკო'' თარიღდება ძვ. წ. 1850-1600 წლებით. დისკის ამოკითხვა სცადა არაერთმა სპეციალისტმა, მაგრამ ამაოდ.

ავსტრიელი მეცნიერის ჰ. ძებიშის აზრი ''ფესტოსის დისკოს'' წარწერის პროტოქართულობის შესახებ საყოველთაოდ მისაღები გახადა ახალგაზრდა ქართველმა მათემატიკოსმა გია კვაშილავამ, რომელმაც ამ დისკის აღმოჩენიდან 100 წლისათვზე, 2008 წელს შეძლო ''ფესტოსის დისკოს'' წარწერის ამოკითხვა. დადგინდა, რომ ''ფესტოსის დისკოს'' წარწერა არის კოლხური ოქროდამწერლობა, რომელიც შექმნილია კოლხის კორიბანტების მიერ. წარწერა წარმოადგენს საგალობელს და ეძღვნება ''აიანეშტარის'' მფარველს, პელაზგურ-კოლხური ნაყოფიერების დიდ ღვთაება ნანას, ანუ რეა კიბელეს.

''ფესტოსის დისკოს'' ტექსტით ერთხელ კიდევ დასტურდება, რომ ძვ. წ. XV საუკუნემდე ხმელთაშუა, ეგეოსისა და შავი ზღვების აუზები ქართველთა წინაპრებით იყო დასახლებული და კულტურულად მსოფლიოში დაწინაურებულ ქვეყანას წარმოადგენდა. არის მყარი საფუძველი ვივარაუდოთ, რომ ეგეოსის ზღვის კუნძულები და თანამედროვე საბერძნეთის სამხრეთი ნაწილი შედიოდა კოლხეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში.

კოლხურ-პელაზგურ ენაზე შექმნილი ტექსტი რელიგიური ხასიათისაა და შედგენილია კირბების, ანუ ქურუმების მიერ. შეიძლება ითქვას, რომ ''ფესტოსის დისკოს'' წარწერა პირველი რელიგიური ძეგლია მსოფლიოში. აქ მოხსენიებული რია კიბელე, იგივე ''ოქროს საწმისში'' მოხსენიებული ქალღმერთი კირკეა, ანუ კოლხეთსა და იბერიაში აღიარებული ღვთაება ნანაა. აღნიშნული საგალობელი შინაარსით ძალიან ჰგავს მარიამ ღვთისმშობლისადმი მიძღვნილ საგალობელს, რაც მკვლევართ აფიქრებინებს, რომ მარიამ ღვთისმშობელი თავის პირმშოს ქართულ საგალობელს უმღეროდა, ქართულსავე ენაზე. ცნობილია, რომ ქრისტიანულ ეპოქაში ამავე ნენანას საგალობელს ათონის წმინდა მთაზე არსებული ივერთა მონასტრის ზარები ღვთისმშობელს უგალობდნენ.

არსებობს მასალები, რომ კოლხურ-პელაზგური ეს ღვთაება _ რია კიბელე, იმდროინდელი კაცობრიობის დედა ღმერთი იყო. მკვლევართა აზრით დედა ღმერთის სახელი ნანა (ნანაია) ძველთაძველია და იგი წარღვნისშემდგომი პერიოდიდან, თვით ნოეს დროიდან მომდინარეობს.

გერმანელი მკვლევარი კურტ შპრენგელი 1821 წელს წერდა: ''რია კიბელე, აზია (აზია იყო იაფეტის მეუღლე და პრომეთეს და) და ფაზისელი ქალღმერთი ფასიანე, რომელსაც თაყვანს სცემდნენ კოლხეთში, ერთი და იგივეა''. დიახ, ამას ამბობდა გამოჩენილი გერმანელი მკვლევარი, გია კვაშილავას მიერ ''ფესტოსის დისკოს'' ამოშიფვრამდე 187 წლით ადრე.

''ფესტოსის დისკოს'' წარწერა ამოტვიფრულია კოლხი კორიბანტების (ოქრომწერლების) მიერ, სადაც დომინირებს სიტყვები: ნენა (ნენანა) ანუ ახალი ნანა, პირველი დედა, წმინდა დედა. ნეშკარი _ ახალი კარი, პირველი კარი, მთავარი კარი, დედა კარი. თურთნენა _ გვარის დედა, მოდგმის დედა, ნაყოფიერების დედა. ჩხოფაიორენანა _ გასხივოსნებული დედა ღმერთი და ა. შ.

ანტიკური ტრადიციის თანახმად პელაზგები არიან ეგეოსის ზღვის კუნძულებსა და ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მცირე აზიიდან გადმოსახლებული ხალხი, რომლებმაც ევროპაში ბერძნების მოსვლამდე შექმნეს მაღალგანვითარებული კულტურა. პელაზგური კოლხური კულტურისა და მისი ოქროდამწერლობის მიმართ განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდნენ ისეთი სახელოვანი ბერძენი მოაზროვნეები, როგორებიც იყვნენ ევ. ჰომეროსი (ძვ. წ. IV საუკუნე), ხარაქს პერგამონელი (II-III საუკუნე), იოანე ანტიოქიელი (VII საუკუნე) და სხვა.

პელაზგებისა და კოლხების ნათესაობა თუ იდენტურობა თავისთავად აყენებს საკითხს ქართველთა წინაპრების უშუალო კავშირის შესახებ უძველეს მინოსურ ცივილიზაციასთან. ეს არის ბრინჯაოს ხანის მაღალგანვითარებული კულტურა კუნძულ კრეტაზე, რომელიც ეგეოსური კულტურის ერთ-ერთი ვარიანტია. მინოსური ცივილიზაცია საზოგადოებისათვის ცნობილი გახდა XIX საუკუნის ბოლოდან. სახელწოდება, მინოსი, ამ კულტურამ მიიღო კრეტის (კნოსოსის) ლეგენდარული მეფის მინოსისაგან, რომელმაც შექმნა ძლიერი საზღვაო სახელმწიფო და კრეტის კანონმდებლობა.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილია ქალაქები: კნოსოსი, აგია-ტრიადა, ფესტოსი, მალია და სხვადასხვა დასახლებული პუნქტები.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს უზარმაზარი სასახლეები, დამშვენებული სპილოს ძვლის ქანდაკებებით, იმ დროისათვის შეუდარებელი ფრესკებითა და რელიეფებით. აქვე არის აღმოჩენილი II ათასწლეულის დასაწყისის იეროგლიფური წარწერები, ე. წ. A ხაზოვანი დამწერლობის ნიმუშები.

ბერძნული მითოლოგიის თანახმად კრეტის (კნოსოსის) ლეგენდარული მეფე მინოსი იყო ზევსისა და ევროპეს შვილი. მას თავისი უზარმაზარი სასახლის ლაბირინთებში ჩაკეტილი ჰყოლია პოსეიდონისაგან მისთვის მირთმეული ხარისა და თავისი მეუღლის _ პასიფეას არაბუნებრივი სიყვარულისაგან შობილი ურჩხული _ მინოტავრი, რომელსაც ხარის თავი და ადამიანის ტანი (ზოგი მონაცემით პირიქით) ჰქონდა. მინოტავრს მეფე მინოსი კვებავდა ადამიანებით. როდესაც ათენელებს მინოსის ვაჟი ანდროგეოსი მოუკლავთ, განრისხებულმა მინოსმა დალაშქრა ათენი და ხარკად 9 წლის მანძილზე 7 ჭაბუკი და ამდენივე ქალწულის მინოტავრისათვის მირთმევა დააკისრა.

მინოსს ცოლად ჰყავდა მზის ღმერთ ჰელიოსის ვაჟის _ კოლხთა მეფე აიეტის და პასიფეა, რაც ერთხელ კიდევ მიგვანიშნებს კოლხებთან ეგეოსის ხალხის ნათესაობაზე.

კუნძული კრეტა, რომელიც არაერთი სარწმუნო წყაროს მიხედვით ქართველთა წინაპრებს ეკავათ, აქ ბერძენთა გაბატონებამდე, მჭიდრო კავშირში იმყოფებოდა იმდროინდელ ცივილიზებულ სამყაროსთან _ ეგვიპტესთან, სირიასთან, კვიპროსთან, ანატოლიასთან და სხვა.

საყოველთაოდაა ცნობილი კრეტის ქალაქები (პოლისები), რომელთა შორის გამოირჩეოდა ქ. გორტინი. ხოლო ქ. კნოსოსს ჰომეროსი ''ასქალაქიანს'' უწოდებდა, რომელსაც გაბატონებული მდგომარეობა ეკავა ხმელთაშუა ზღვის აუზში.

კაცობრიობის საოცრებადაა მიჩნეული აქაური არქიტექტურა, განსაკუთრებით მიწისქვეშა ლაბირინთებით დამშვენებული გრანდიოზული სასახლეები, ხელოვნების საოცრებად მიჩნეული ე. წ. ''ლომების ჭიშკარი'' და ა. შ.

კნოსოსის აღმომჩენი სერ არტურ ევანსი წერს: ''მართალია, ის, რასაც ჩვენ აქ დღეს ვხედავთ ნანგრევებია, მაგრამ იგი ინსპირირებულია მინოსის სულით და ხუროთმოძღვარ დედალოსის ხელოვნებით. ჩვენს წინაშეა მსოფლიო მნიშვნელობის სანახაობა. მეფე მინოსის რეზიდენცია გულია ევროპის უძველესი ცივილიზაციისა''.

კნოსოსის სასახლეში აღმოჩენილი ფრესკები, რომელიც ''მიკენურის'' სახელითაა ცნობილი, სათავეს იღებს კრეტის მინოსური ცივილიზაციისაგან. სახელწოდება ''მიკენი'' ამ კულტურამ მიიღო ადგილმდებარეობის მიხედვით (მიკენი თავად მდებარეობს პელეპონესში).

სპეციალისტთა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ცნობილი მინოსური ფრესკა ''მერიქიფე'', იგი ტიპაჟისა და ჩაცმულობის მიხედვით არც ეგვიპტელია, არც სირიელი და არც ბერძენი. იგი დიდი ხნის მივიწყებული და ხელახლად აღმოჩენილი ხალხის ტიპიური წარმომადგენელია. მერიქიფე მამაკაცს ხელთ უპყრია ''რიტონი'', რომელიც ძალიან ჰგავს ქართულ ყანწს, ხოლო თვით მერიქიფე ქართული ანთროპოლოგიური ტიპია. ასევე განსხვავებულია აქაურ ფრესკებზე გამოსახული ქალთა ტიპაჟები.

ყოველივე ეს კიდევ უფრო ამყარებს მეცნიერთა დიდი ნაწილის აზრს იმის შესახებ, რომ მინოსელები პროტოქართველური ხალხი იყო, რომლებიც თანამედროვე ევროპელებისა და ბერძენთა მოსვლამდე ცხოვრობდნენ ხმელთაშუა ზღვის აუზში. ამავე აზრისაა აკადემიკოსი ნიკო მარი. აქ აღმოჩენილ ''დიდი სტენდის ფრესკაზე ასახული ადამიანების ფიზიკური ტიპები, განსაკუთრებით მინოსელი ქალბატონები, რომელთაც მოსავთ ფრიალა კაბები და სპილოსძვლისფერ მკერდს მბრწყინავი სამკაულები უმშვენებდნენ, არაფრით არ გვანან არც ბერძენ და არც სხვა ხალხის მანდილოსნებს. უცქერი ამ მშვენიერებას და გეუფლება გრძნობა, რომ დააბიჯებ კნოსოსის დარბაზებში, სადაც ერთ დროს გაისმოდა მაცდუნებელი შრიალი მინოსელ ქალთა არშიებიანი კაბებისა, გესმით მათი ჩურჩული და მუსიკის ექო. მაღალ ტახტზე დაბრძანებულა მინოსი, არც ისე მოშორებით მიდი-მოდიან ბრწყინვალე სამკაულებით მკერდდამშვენებული მინოსელი ქალბატონები.

კნოსოსის სასახლეში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს თავდაპირველი სახით შემორჩენილი ტახტი, რომელიც უძველესია ევროპაში.

**ღემურ ღაღანიძე**
**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი**

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# ილია ჯაში _ ღვაწლმოსილი მკურნალი

***''ჩვენს სოფელსა და მის მიდამოებში ბევრი სხვადასხვა სენი მძვინვარებს, თქვენს მტერს ჩვენ რომ გაჭირვებაში ჩავვარდებოდით, მაგრამ ახლად გახსნილი ქსენონი სწორედ დაუფასებელ სამსახურს გვიწევს. ივანე გომართელს, ექიმს 20 თებერვლიდან დღემდე მიუღია 1500 ავადმყოფი, ამათ მიუმატეთ კიდევ ავადმყოფთა რიცხვიც, რომელთაც შინ მიუწვევიათ ექიმი და ნათლად დავინახავთ ქსენონის უსაჭიროეს მნიშვნელობას ჩვენი დაბეჩავებული სოფლისათვის''. _ წერდა 1902 წლის 10 აპრილს გაზეთ ''ივერიაში'' დიდ ჯიხაიშელი მცხოვრები.***

სხვა წერილის ვრცელი თემაა ივანე გომართელის საექიმო მოღვაწეობა სოფელ დიდ ჯიხაიშსა და ახლომახლო სოფლებში.



ამჯერად, მოკლედ, ექიმ ილია ეგნატეს ძე ჯაშსა და მის ფასდაუდებელ წვლილზე გვექნება საუბარი.

1873 წელს სამტრედიის რაიონში, სოფელ ჭოგნარში დაიბადა იგი. სასულიერო სემინარიის შემდეგ იურიევის (ტარტუს) უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე ჩაირიცხა, რომელიც პირველი ხარისხის დიპლომით დაამთავრა.

შეთავაზების მიუხედავად, იგი მშობლიურ სამტრედიას დაუბრუნდა და სიცოცხლის ბოლომდე პირნათლად ილვწოდა მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის სადარაჯოზე, არა მარტო სამტრედიაში, არამედ მეზობელ რაიონებშიც.

მარტო სამედიცინო საქმიანობით არ იყო შემოფარგლული ბატონი ილია.

იგი ექიმ რაჟდენ ნანეიშვილთან ერთად არაერთი საქველმოქმედო და კულტურული ღონისძიების ინიციატორი და უშუალო მონაწილე გახლდათ.

სწორედ რაჟდენ ნანეიშვილთან ერთად ილია ჯაშმა სამტრედიაში დააარსა პირველი საავადმყოფო-პოლიკლინიკა, რომელსაც 1954 წლამდე თავადვე განაგებდა, შემდეგ კი გარდაცვალებამდე იქვე მუშაობდა თერაპევტად.

განუზომელი სიყვარულით, პატივისცემით იყო გარემოსილი მადლიერი პაციენტებისაგან, საზოგადოებისაგან ბატონი ილია.

ხელისუფლებამ ჩინებულად დააფასა მისი თავდადებული საქმიანობა და ხანგრძლივი, ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის საქართველოს დამსახურებული ექიმის საპატიო წოდება მიანიჭა ღვაწლმოსილ მედიკოსს.

86 წლის ასაკში, 1959 წელს გარდაიცვალა სამტრედიის სინამდვილეში პირველი დიპლომირებული ექიმი.

115 წელი სრულდება ამ დღეებში სამტრედიაში პირველი სწავლული ექიმის (ი. ჯაშის) ჩამოსვლიდან.

ეს მცირე წერილიც ამ ფაქტის გამო დაიწერა.

**ლევან გაბეჩავა**

# ეს უნდა ვიცოდეთ

*''... დღევანდელ დროში ცოდნა ყველაფერია''...*

**ილია ჭავჭავაძე**

ხეხილის ფოთლების სიყვითლე, ანუ ქლოროზი ხშირად გამოწვეულია ნიადაგში რკინის მარილების, სიმცირის გამო. ჭარბი ტენით, ხანგრძლივი გვალვებით, ნიადაგში კირის სიჭარბით, არანაყოფიერ, მწირი ნიადაგის შემთხვევაში მცენარის საერთო შიმშილით. მძიმე ნიადაგის შემთხვევაში კი ნიადაგის ცუდი ჰაერაციით. ხეხილის ავადმყოფობის გამომწვევი სხვადასხვა მიკროორგანიზმებით და სხვა. ფოთლის სიყვითლის, ქლოროზის წინააღმდეგ საბრძოლველად კარგ შედეგს იძლევა ხის კრონის ქვეშ ნიადაგის დამუშავება, ჩაბარვა, რიგთაშორის ნიადაგის ჩათოხნა _ გაფხვიერება. ნიადაგის ორგანული სასუქით _ ნაკელით განოყიერება. ზომიერი რწყვა, მინერალური სასუქების გამოყენება და სხვა აგროტექნიკურ ღონისძიებათა ჩატარება.

**მოამზადა აგრონომოლოგმა ბორის კახიანმა**

ფანჯიკიძის ქუჩაზე მცხოვრები მეზობლები თანაუგრძნობენ ანზორ ასათიანს და ნელი პაშკოვკას, ძმისა და მაზლის, ბატონი

**გურამ ასათიანის**

გარდაცვალების გამო.

ბადრი ვაშაკიძე ოჯახით თანაუგრძნობს ანზორ ასათიანის ოჯახს, ბატონი

**გურამ ასათიანის**

გარდაცვალების გამო.

ელგუჯა კაჭარავა და დათო გოგიშვილი ოჯახებით თანაუგრძნობენ ანზორ ასათიანის ოჯახს, ბატონი

**გურამ ასათიანის**

გარდაცვალების გამო.

# ორი ოქრო, ერთი ვერცხლი!

## სამტრედიელ თავისუფალ სტილით მოჭიდავეთა მორიგი წარმატება

21-23 ოქტომბერს ქალაქ ონში გაიმართა სეულის ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ჩემპიონის, დავით გობეჯიშვილის სახელობის საერთაშორისო ტურნირი თავისუფალი სტილით ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის. ეს ტურნირი მეტად მასშტაბური იყო. აზერბაიჯანი სასომხეთი, რუსეთი უძლიერესი ნაკრები გუნდებით იყვნენ წარმოდგენილი. აღნიშნულ ტურნირზეააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბ "ფალავანის" (დირექტორი ირაკლი მელაშვილი) სპორტსმენებიც ასპარეზობდნენ. ივერი ჯულაყიძემ 66 კილოგრამ წონით კატეგორიაში იასპარეზა და ჩემპიონობა არავის დაუთმო. დემურ მეგენეიშვილმა კი 84 კილოგრამ წონით კატეგორიაში მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა. (მწვრთნელები ვეფხია და ლაშა სტურუები). ასევე, ედემი ბოლქვაძე, რომელიც 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში ასპარეზობდა, ჩემპიონი გახდა. (მწვრთნელები ბიძინა მელაშვილი, ზაზა არქანია).

ტურნირიდან დაბრუნების შემდეგ "სამტრედიის მაცნემ" კომენტარი საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს, ვეფხია სტურუას სთხოვა:

"ეს მეტად პრესტიჟული ტურნირი იყო. მასში 200-მდე სპორტსმენი ასპარეზობდა. მონაწილეობას უცხოეთიდან ჩამოსული უძლიერესი ნაკრები გუნდები ღებულობდნენ, ასევე უძლიერესი შემადგენლობით იყო წარმოდგენილი ტურნირზე საქართველოც. ჩვენს სპორტსმენებში გამოვყოფდი ტურნირის ჩემპიონებს ივერი ჯულაყიძესა და ედემ ბოლქვაძეს. ორივე მათგანმა ოთხ-ოთხი შეხვედრა მოიგო და ჩემპიონობა არავის დაუთმო. რაც შეეხება დემურ მეგენეიშვილს, მან სამი შეხვედრა მოიგო და მეოთხე ფინალური შეხვედრა დათმო. ვულოცავ ჩვენს მოჭიდავეებს ამ დიდ გამარჯვებას, ასევე ვულოცავ საჭიდაო კლუბ "ფალავანს", ამ სპორტსმენებს არაერთხელ გაუხარებია სამტრედიელი გულშემატკივარი და გვაქვს იმედი, რომ კიდევ არაერთხელ გვასახელებენ. უახლოეს ხანში სამივე სპორტსმენი სასომხეთში მიემგზავრება, სადაც ისინი მონაწილეობას მიიღებენ საერთაშორისო ტურნირში. ვუსურვებ მათ ასევე წარმატებებს".

ნათია ნაცვლიშვილი





ყველამ იცის არჩევნები,
რომ მომიგე დიდი ქულით,
მაგრამ, მაინც გამარჯვებას,
მოგილოცე წრფელი გულით.

### მადლობა

ავტოსაგზაო შემთხვევის გამო გრძნობადაკარგული მომათავსეს "ჯეო ჰოსპიტალსის" ქირურგიულ განყოფილებაში. მორიგე ექიმის, ნევროპათოლოგ თამარ ვაშაკიძის, ქირურგების კობა ქაჯაიას, ასლან ბახტაძის, ნევროპათოლოგ გურამ მშვიდობაძის, ნეირო-ქირურგ კობა გელაშვილის და საავადმყოფოს მთავარი ექიმის ირაკლი ლაღიძის პროფესიონალიზმისა და ყურადღების წყალობით სიცოცხლე შემინარჩუნდა.

მადლობას ვუხდი მათ ჩემდამი გამოჩენილი სითბოსა და ყურადღებისთვის.

ნიკოლოზ შენგელია
პენსიონერი

# მანანა მუქერია კვლავ ჩემპიონია

მიმდინარე წლის 4-5 ნოემბერს თბილისში ჩატარდა საერთაშორისო ჩემპიონატი "კიოკუშინკაი კარატეში" 18 წლამდე ასაკის სპორტსმენთა შორის, რომელშიც აზერბაიჯანის, გერმანიის, სომხეთის, ყაზახეთისა და საქართველოს წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

ჩემპიონატზე წარმატებით იასპარეზა სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის (დირექტორი ივანე კილტავა, მწვრთნელ-მასწავლებელი სენსეი მიხეილ ქანთარია) კარატეს ჯგუფის წევრმა **მანანა მუქერიამ,** რომელმაც 12-13 წლის ასაკის გოგონათა შორის პირველი ადგილი დაიკავა და ჩემპიონის წოდებაც მოიპოვა.

საერთაშორისო ჩემპიონატის ორგანიზატორთა მიერ სამტრედიელი სპორტსმენი შესაბამისი დიპლომით, მედლით, თასითა და ფასიანი საჩუქრით დაჯილდოვდა.

მიმდინარე 2016 წელს ეს გამარჯვება მანანასათვის ზედიზედ მეხუთეა.

წარმატებებს ვუსურვებთ მანანა მუქერიას, მის მწვრთნელს, სენსეი მიხეილ ქანთარიას მომავალ ასპარეზობებში.

"სამტრედიის მაცნე"




### ლუარა კახიანს!



ღვაწლმოსილ ქალბატონს, სამტრედიის სახელოვანი ინტელიგენციის ღირსეულ წარმომადგენელს, ქალბატონ ლუარა კახიანს პატივისცემითა და სიყვარულით ვულოცავთ დაბადების საიუბილეო თარიღს.

იხარეთ, იდღეგრძელეთ, ქალბატონო ლუარა.

"სამტრედიის მაცნე"

### ბატონ ამირან მანჯგალაძეს!

ამირან აპოლონის ძევ!

გულწრფელად გილოცავთ დაბადების საიუბილეო თარიღს _ 90 წლისთავს! თქვენ, როგორც რაიონის ერთ-ერთ თავკაცს, გასული საუკუნის 60-70-იან წლებში, დიდი წვლილი მიგიძღვით სამტრედიის რაიონის აღმშენებლობაში, სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების, განვითარებასა და კულტურულ-საგანმანათლებლო კერების გაფართოებაში.

გისურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და მხნეობას!

პატივისცემით: ნათელა გელეიშვილი, თამაზ მიქაძე, ბორის ფოცხვერაშვილი, გიორგი რევიშვილი

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839

სამტრედიის მაცნე

დირექტორი ბექან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპავა